პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 284 (11895) | პარასკევი, 9 დეკემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი. 1960 წლის 7 დეკემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის მიტინგის პრეზიდიუმში.
ფოტო ა. უსტინოვისა და ვ. ვოლოდკინისა.

მ ე ვ ე ნ ა ხ ე თ ა ლ ი რ ს ე ბ ი ს ს ა ქ მ ე

ვაზი საქართველოს მრავალფეროვანი და მდიდარი ფლორის მარგალიტია. ამ უძველესმა და უკეთილშობილესმა მცენარემ შორეული წარსულიდანვე ღრმად გაიდგა ფესვები ქართველი ხალხის ცხოვრებაში და მისი ჭირისა და ლხინის განუყოფელი თანამზიარი გახდა.

ვაზის სამშობლო!..

ახე უწოდებენ ჩვენს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ ქვეყანას და განა ეს უბრალო სიტყვებია?! საქართველო ერთ-ერთი ის კუთხეა, სადაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაირწო კულტურული მევენახეობა-მეღვინეობის აკვანი!..

ამიტომაც ვაზის სიყვარულს საზღვარი არა აქვს ჩვენში. ტყუილად კი არ უთქვამს ქართველ კაცს — მომეცი ვაზი და თუგინდ რიყეზე დამასახლეო!

მაგრამ მევენახეობამ ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად თავისი ნაშდვილი პატრონი, გულშემატკივარი და ქომაგი მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპოვა.

ვისთვის არ არის ცნობილი, თუ შავბნელმა თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, ხოლო შემდეგ მენშევიკების ბატონობამ საქართველოში მევენახეობა როგორ დაკნინა და გაამარტახა. ორმოცი წლის წინ, იმ დაუვიწყარ დროისათვის, როცა დიდი ოქტომბრის სხივმა ჩვენშიაც გაანათა და ხალხს თავისუფლება მიანიჭა, საქართველო — ვაზის ეს უძველესი ქვეყანა ვენახების მხოლოდ 30.000 ჰექტარს ითვლიდა.

მოვიდა საბჭოთა ადამიანი და ვაზმაც გაიხარა. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დღეს რესპუბლიკაში 75 ათასი ჰექტარი ვენახი გვაქვს. შვიდწლედის ბოლოს კი ვენახების საერთო ფართობი 150 ათას ჰექტარს მიაღწევს.

მაგრამ მევენახეობის წინსვლა რესპუბლიკაში მხოლოდ ფართობების ზრდით ოდი განისაზღვრება. საქართველოს მევენახეები შემოქმედებითად იყენებენ მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს, დაკვირვებით ეერგავენ ნოვატორთა გამოცდილებას, ოსტატურად უფარდებენ ყოველივე ახალს, პროგრესულს ადგილობრივ პირობებს და ეს არის სწორედ თავი და თავი ამ დარგის განვითარებაში, მოსავლიანობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში.

წლების მანძილზე გარკვეულ წარმატებებს აღწევენ გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ამბროლაურისა და სხვა რაიონების მევენახეები. ამ რაიონების ბევრ საკოლმეურნეო ზვრებსა და ვენახებში ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 70-80-100 ცენტნერს უდრის. ცალკეულ ბრიგადებს, ჩოლებს, მევენახე კოლმეურნეებს კი უფრო დიდი და, ხშირად სარეკორდო მოსავალიც მოპყავთ.

უკანასკნელ ხანს შორს გაითქვეს სახელი ვენახების სანიმშო მოვლითა და ყურძნის უხვი მოსავლიანობით თელავის რაიონში — ნ. ქიზიყელაშვილმა, ი. ბაღათრიშვილმა, ი. გიორგაძაშვილმა; სიღნაღის რაიონში — ც. ჯალიაშვილმა, ნ. ბეგიაშვილმა; მაიაკოვსკის რაიონში — პ. რობაქიძემ, მ. ზარიკაძემ; ამბროლაურში — ა. ჩოკოლაშვილმა და ბევრმა სხვამ, რომლებსაც რესპუბლიკაში ცოტა მიმდევარი როდი ყავთ. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ ყურძნის მაღალ მოსავალს ვერ იღებენ.

სამრეწველო საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სული და გული. მის სისტემაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებს ყველაზე საუკეთესო სავენახე ადგილები უჭირავთ. ამ მეურნეობებში მევენახე სპეციალისტთა მთელი არმია მუშაობს; და მიუხედავად ამისა, ეს საბჭოთა მეურნეობები ყურძნის დაბალ მოსავალს იღებენ.

გასული სამი წლის განმავლობაში წინანდლის საბჭოთა მეურნეობის ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე არ აღემატებოდა 30,7 ცენტნერს. მუკუზნის საბჭოთა მეურნეობისა — 38,4 ცენტნერს, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობისა — 47,5 ცენტნერს. გეგმა კი ამ წლებში 50-60 ცენტნერზე ნაკლები არ ყოფილა.

რით უნდა ავხსნათ ეს? იქნებ ამ მეურნეობებში უვარგისი, უჯიშო ვაზია გაშენებული? არა, აქ ძირითადად საქვეყნოდ განთქმული რქაწითელს, საფერავს და ისეთ ჯიშებს ნახავთ, რომლებიც საუკეთესო ხარისხის ყურძენთან ერთად მაღალი მოსავლიანობითაც ხასიათდებიან.

ასეთივე მდგომარეობაა მევენახეობის ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. ვენახების ფართობები თანმიმდევრულად იზრდება, მევენახეები გადდებულ ვალდებულებებს იღებენ უხვი მოსავლის მოსაყვანად, ამ ვალდებულებათა განაღდება კი ზოგან წარმატებით რადი ხორციელდება.

საქართველოს მევენახეები ამ მდგომარეობას შთელი სერიოზულობით უნდა ჩაუფიქრდნენ. ღღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მძლავრი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის შესახვედრად. მევენახეებმა ისე უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა, ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ ამთავითვე ჩაეყაროს საფუძველი შვიდწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს. ჩვენმა მევენახეებმა ერთი, რამ არ უნდა დავიწყონ, აღებული ვალდებულება — ეს კანონია, რაც აუცილებლად და სასახელოდ უნდა სრულდებოდეს.

რა არის ამისათვის საჭირო?

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ვენახებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ზუსტად გატარებას. ვაზს სწორი ფორმირება და ისეთი დატვირთვა უნდა მიეცეს, რომელიც ყოველმხრივ შეფარდებული იქნება კვების არეთან.

ჩვენს ვენახებში მექანიზებული წესით ჯერ კიდევ მხოლოდ ზოგიერთი სახის სამუშაო სრულდება. შეუძლებელია კვლავ დავკმაყოფილდეთ ამით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებში საქმის ღრმა ცოდნით, სრულყოფილად ინერგებოდეს კომპლექსური მექანიზაცია, რომელიც შრომისნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

ჩვენს მევენახეებს ამ საქმეში კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. მანქანათმცოდნეობის სამმართველოს მუშაკებმა მეტი მზრუნველობა და დაინტერესება უნდა გამოიჩინონ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საჭირო რაოდენობით ჰქონდეთ ვენახებში გამოსაყენებელი მანქანა-იარაღები, მათი სათადარიგო ნაწილები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ტექნიკის სრული და სასარგებლო ექსპლოატაცია.

მევენახეობა სოფლის მეურნეობის რთული და მეტად შრომატევადი დარგია, მაგრამ ჩვენს მევენახეებს არ აკლიათ არც გამოცდილება, არც ვაზისადმი სიყვარული, არც შრომის უნარი. სოფლის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოპკიდონ ხელი მევენახეობის შემდგომ აღმავლობას. ამოცანა ის არის, რომ ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, „გამოუყენებელი არ დარჩეს ყოველივე ის, რაზედაც დამოკიდებულია ყურძნის მოსავლიანობისა და მისი ხარისხის შემდგომი ზკვეთრი ამაღლება.

ამხანაგო მევენახეებო! მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ ზვრებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, აქედანვე ჩავუყაროთ საძირკველი შვიდწლედის მესამე წლის უხვსა და ხარისხოვან მოსავალს!

დაე, ბუკადეს, კიდევ უფრო ღრმად იდგამდეს ფესვს ქართული ვაზი — ჩვენი მადლიანი მიწის გვირგვინი და მშვენება!

ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი შ ე ხ ვ დ ა ლ ი უ შ ა ო - ც ი ს

7 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ ლიუ შაო-ცის, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას.

შეხვედრა გულთბილ ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ჩ ი ნ ე თ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე მ ლ ი უ შ ა ო - ც ი მ ს ა უ ზ მ ე გ ა მ ა რ თ ა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ლიუ შაო-ციმ საუზმე გამართა.

საუზმეზე იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

საუზმეზე იყვნენ უცხოელ დიპლომატები.

დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა კ რ ე მ ლ შ ი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

მოსკოვი, 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლიუ შაო-ცის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი და სხვები.

სტუმრობა შორის იყვნენ უცხოელი დიპლომატები. დარბაზობის დროს, რომელმაც ძმური გულითადი მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, ლ. ი. ბრეჟნევმა და ლიუ შაო-ციმ სიტყვები წარმოთქვეს.

მ ო ს კ ო ვ ი დ ა ნ გ ა ე მ გ ზ ა ვ რ ა ჩ ი ნ ე თ ი ს დ ე ლ ე გ ა ც ი ა

მოსკოვი, 8 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილით დედაქალაქის მაგისტრალები, რომლებსაც ვნუკოვოს აეროდრომისაკენ მივყავართ, სადღესასწაულოდ იყო მორთული. საცხოვრებელ სახლებსა და დაწესებულებათა შენობებს ამშვენებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. წითელ ქსოვილებზე ჩინურ და რუსულ ენებზე წარწერილია მისალმების სიტყვები მოძმე ჩინელი ხალხისადმი, სიტყვები ორი დიდი ხალხის — საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის გამარჯვების აღსანიშნავად.

ასეულ ათასობით მოსკოველი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე ძვირფასი სტუმრების — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრების გასაცილებლად.

მოტოციკლისტთა სპეციალური ესკორტს მიჰყვება ავტომობილების კოლონა, რომელშიც მიდიან ჩინელი სტუმრები და მათი თანმხლები საბჭოთა წარმომადგენლები. კოლონა გადის ლენინის პროსპექტზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ალმებით მორთულ წინა მანქანაში არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლიუ შაო-ცი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. მოსკოველები, რომლებსაც ცოცხალი კორიდორი შეუქმნიათ, მხურვალედ მიესალმებიან ამხანაგებს ლიუ შაო-ცის. ლ. ი. ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს.

ვნუკოვოს აეროვოგზლის შენობაზე გამოკიდულია ამხანაგების მაო ძე-დუნისა და ლიუ შაო-ცის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტები. ქარი აქანავებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალმებს.

აქ მოვიდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, დ. თ. უსტინოვი და სხვები.

აეროდრომზე შეკრებილნი — მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების, დაწესებულებათა მრავალი წარმომადგენელი, ჩინელი სტუდენტები, რომლებიც დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, დიდი გულთბილობითა და გულითადობით მიესალმნენ ამხანაგ ლიუ შაო-ცის, პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს.

უ პ ა ტ ა კ ებ ე ნ ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

სტალინირი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავად გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და ვადაზე ერთი თვით ადრე 110,1 პროცენტით შეასრულეს წლიური გეგმა. გამოშვებულია რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

საკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ნაბიჯის საწარმოს, ჯავის ჩამოსასხმელი ქარხნის, სტალინირის ლუდის ქარხნის, ქალაქის საშრეწველო კომბინატის მეორე აბურის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მეურნეობის საწარმოთა კოლექტივებმა.

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ა. ზობუა, პარტბიუროს მდივანი ბ. მახათაძე), რომელიც საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის იბრძვის, 27 ნოემბრისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების წლიური დავალება, თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 325 ათასი მანეთი და 1961 წლის ანგარიშში უკვე გამოიღო რამდენიმე ათასი ტონა მარგანეცი.

თავადდებული მუშაობით თავი გამოიჩინეს იმ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ჯ. ჯაფარიძე, დ. ფალავანდიშვილი, ნ. გოგატიშვილი უძღვებიან, და მაღნის გამამდიდრებელმა ფაბრიკებმა ინჟინერ ბ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით.

მაღაროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს სულ მცირე 45.000 ტონა მარგანეცი.

ა მ ა ს შ ე ნ გ ე ა მ ბ ო ბ ე ნ, ჩ ე მ ო ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ!

ეცნობოდეს ყველას

გულთბილად მიიღო, საქართველოს ახალგაზრდობამ აფრიკის შორეული ქვეყნიდან უგანდიდან ჩამოსული სტუდენტი, ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენელი სემ ნსუბუგა. ეცნობოდა რა საბჭოთა კავშირის ცხოვრებას, საბჭოთა ჰაუკეთისა და ქალაქშვილების სწავლასა და შრომას, იგი ეხუმრა მოსკოვს, ლენინგრადს, სვერდლოვსკს, უზბეკეთს.

თბილისში სემ ნსუბუგა ეწვია ი. ბ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტს, შეხვდა სტუდენტებსა და მასწავლებლებს, გაეცნო ქალაქის მეფილი რიგი საწარმოებისა და კულტურული დაწესებულებების მუშაობას. უგანდის ახალგაზრდობის წარმომადგენელი იყო აგრეთვე სოხუმში.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში სემ ნსუბუგამ თქვა:

— თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც უგანდა იმყოფება ინგლისელ კოლონიზატორთა უღელქვეშ. ახლა ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც აგრეთვე აქტიურ ბრძოლას ეწევა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მოგზაურობამ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოს ნახვამ. ახალგაზრდა მუშებთან შეხვედრებმა, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ექსკურსიებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობასთან გაცნობამ გაამდიდრეს ჩემი წარმოდგენა საბჭოთა ქვეყანაზე, მის დიდ ხალხზე, რომელიც ასეთი ენთუზიაზმით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას და დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის.

მალე ვავალ ჩემს სამშობლოში. და თან წამოვიღებ საბჭოთა ადამიანებთან—მშვიდობისათვის ყველა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლებთან მეგობრობის სითბო.

სემ ნსუბუგა გაემგზავრა სოჭში. (საქდესი).

ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ი დ ე ე ბ ი უ ძ ლ ე ვ ე ლ ი ა

მსოფლიო მიესალმება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას

ჩინეთის მშრომელები დიდი ინტერესით შეხვდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას. ყველა გაზეთი, რომლებმაც განცხადების სრული ტექსტი გამოაქვეყნეს, სწრაფად გაიყიდა. ვინც ვერ შეძლო გაზეთის ყიდვა, გრძელ რიგში დგებოდა საგაზეთო ვიტრინებთან, რათა გასცნობოდა განცხადების ტექსტს.

ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში, სკოლებსა და ჯარის ნაწილებში მოეწყო განცხადების განხილვა. შეძახშანის მეტალურგიული კომბინატისა და პეკინის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშებმა, უმაღლესი პარტიული სკოლისა და პეკინის უნივერსიტეტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის სახალხო კომუნის გლეხებმა ერთსულოვნად და მხურვალედ დაუჭირეს მხარი განცხადებას.

მოსკოვის განცხადება თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო დოკუმენტია, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების ბრძოლისა და გამარჯვებისათვის, **გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში** სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის, ბრძოლისათვის მტკიცე მშვიდობის მოსაპოვებლად — ასეთი აზრებით გამსჭვალულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა პრესაში გამოქვეყნებული და რადიოთი გადაცემული განცხადებები.

პოლონეთის მშრომელებს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის განცხადება მიაჩნიათ დიდი ისტორიული მნიშვნელობის თვალსაჩინო დოკუმენტად, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საბრძოლო პროგრამად, რომელიც შემუშავებულია თანამედროვე მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე და ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პრინციპებს.

პარიზის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას. გაზეთი „კომბა“ აღნიშნავს განცხადების დიდ მნიშვნელობას და წერს: „ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტია. ეგი უდიდესი სიცხადით განსაზღვრავს კომუნისტური პარტიების პოლიტიკურ ხაზს“.

ინგლისის ბურჟუაზიულმა გაზეთმა „ტაიმსმა“ დაბეჭდა განცხადების ტექსტის შინაარსი სათაურებით: „კაპიტალიზმის საერთო კრიზისის განვითარებაში დაიწყო ახალი ეტაპი“, „მსოფლიო მოწოდება მშვიდობისაკენ. ომის გამორიცხვა, თუმცა არსებობს კაპიტალიზმი“. გაზეთი გამოაყოფს განცხადების იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ კომუნისტურ პარტიებს მშვიდობისათვის ბრძოლა მიიჩნიათ თავიანთ უპირველეს ამოცანად და ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა სხვადასხვა სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას კვლავ დიდ ყურადღებას უთმობენ **სოფიის, ვარშავის, ბუქარესტის, ულან-ბატორის, ფხენიანის, პანოის, ჰავანის, კაიროსი** და მსოფლიოს სხვა დედაქალაქების გაზეთები. (საკდესი).

დ ი დ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ ი

საქართველოს მშრომელთა მხურვალედ იწონიან კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას

საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან 1960 წლის ნოემბერში მოსკოვში გაართული კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების ტექსტს. ფაბრიკებსა და ქარხნებში მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში მიმდინარეობს იმ გაზეთების კითხვა, რომლებშიც გამოქვეყნებულია განცხადების ტექსტი, აგიტატორთა საუბრები. რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ ამ ჭეშმარიტად ისტორიულ დოკუმენტს.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებას, დიდი კმაყოფილებით შეხვდა სტალინის სახელობის თბილისის ორდენმოგალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივი. ორასზე მეტი აგიტატორი წარმოების მუშაკებს აცნობს თათბირის მასალებს.

— ჩვენ გვახარებს ეს განცხადება, — თქვა მექანიკოსმა ა. მარგველაშვილმა. — იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს მთელი სოციალისტური ბანაკის, მუშათა და კომუნისტური პარტიების ერთიანობას. ჩვენ ვიცით, რომ ეს ერთიანობა ომისა და რეაქციის ძალებზე მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების გამარჯვების საწინდარია. ამ დიდი მიზნისათვის იბრძვის ახლა მთელი პროგრესული კაცობრიობა.

გაცხოველებით მიმდინარეობს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადების განხილვა ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება დიდი ინტერესით გავიცანი, — თქვა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. პაპინაშვილმა, — მთელი მსოფლიოს კომუნისტთა წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩვენი საყვარელი სახშობლოს დედაქალაქ მოსკოვში შეიკრიბნენ, დასახეს სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მთელი კაცობრიობის წარმატებით წინსვლის გზები. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ იმით, რომ ვმონაწილეობთ ამ საზოგადოების შექმნაში.

— მშვიდობისა და ომის საკითხები მთელ კაცობრიობას აღელვებენ, — განაცხადა პოეტმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა გრიგოლ აბაშიძემ. — ხალხებს საფრთხეს უქმნის ახალი გამანადგურებელი ომის წარმოშობა. ეს საფრთხე მომდინარეობს აგრესიისა და ომის მთავარი ძალებიდან — ამერიკელი იმპერიალისტებიდან. სწორედ ისინი ემუქრებიან მსოფლიოს ახალი სისხლისმღვრელი ომით. მათ არ უნდა მივცეთ საშუალება, რათა გააჩაღონ ომი, დროზე უნდა აღვაკმინოთ აგრესორები. სწორადაა ნათქვამი. განცხადებაში — დადგა საათი, რათა ომის ძალებს დავუპირისპიროთ საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა რაზმისა და ორგანიზაციის ნება და ერთიანი მოქმედება, გავაერთიანოთ მთელი ძალები ომის თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მშვიდობის შესანარჩუნებლად.

კოლმეურნეობის წევრთა ფიქრები და გრძნობები გამოხატა სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა სოფიო ლომბაშვილმა.

— ჩვენს კოლმეურნეებს, დედებს, შვილებს, — თქვა მან, — დიდად აღელვებთ მშვიდობის შენარჩუნების საკითხები. ამიტომ ესოდენი სიამაყითა და სიხარულით წავიკითხეთ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება. იგი ჩვენს გულში ნერგავს უფრო ნთელი მომავლის რწმენას. მშვიდობის საქმე ახლა საიმედო ხელთაა. (საკდესი).

ს ა ბ ჭ ო თ ა ტ ა ნ კ ე რ ი ჰ ა ვ ა ნ ა ს ი ო ნ ი

ჰავანა, 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ჰავანაში ჩავიდა საბჭოთა ტანკერი „პეკინი“, რომელმაც ჩაიტანა ნავთობი. ეს ტანკერის პირველი რეისია მას შემდეგ, რაც იგი რამდენიმე თვის წინათ დაეჯახა ნორვეგიის ტანკერს ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროსთან.

კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა ლ ფ ო თ ე ბ ა

ტოკიო, 8 დეკემბერი. (საკდესი). იაპონიის პრესა იუწყება, რომ ამერიკელი საკმოსნები ერევიან იაპონიის მეწყვრმეთა და კუბის სავაჭრო ურთიერთობაში.

იაპონიის კომპანიამ მიცუბისი სიოძიმ ამას წინათ კუბის მთავრობისაგან შეისყიდა ათას ტონაზე მეტი შაქარი. ამერიკის შაქრის კომპანიამ „ამერიკენ კუბა კომპანიამ“, რომელიც კუბიდან გაეძევნეს და რომელსაც მიაჩნია, რომ კუბის შაქრის ქარხნები მას ეკუთვნის, გადაწყვიტა მოსთხოვოს მიცუბისი სიოძის — გადაიხადოს „კომპენსაციი“. იაპონიის კომპანიას განზრახული აქვს სასამართლოს მიმართოს ამ უკანონო დაჩემებასთან დაკავშირებით.

როგორც ღღეს გაზეთი „აკახატა“ იუწყება, იმ დაბრკოლებათა შედეგად, რომელებსაც ქმნიან ამერიკელი ბიზნესმენები, იაპონიამ მიმდინარე წლის ოქტომბრამდე კუბიდან მხოლოდ 180 ათასი ტონა შაქარი შემოიტანა, მაშინ როცა წარსულში იაპონიას 500 ათას ტონაზე მეტი კუბური შაქარი შემოქონდა წელიწადში. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, იაპონიის საქმიანი წრეები, წერს გაზეთი, აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ შეერთებული შტატები ერევიან იაპონიის სავაჭრო საქმეებში.

ინ ფ ორ მ ა ც ი ა

კრიზისი ტვირთად აწვება მუშებს

ლონდონი, 8 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის საავტომობილო მრეწველობაში, რომელიც კრიზისმა მოიცვა, წინანდებურადვე იზრდება უმუშევრობა და სულ უფრო მეტი მუშა გადაჰყავთ არასრულ სამუშაო კვირაზე. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტის გამოანგარიშებით ამ დარგში დათხოვნილია დაახლოებით 10.000 მუშა და 100.000 მუშა დასაქმებულია არასრულ სამუშაო კვირას.

გუშინ საღამოს ბირმინჰემის საავტომობილო კომპანიამ „მალინერს ლიმიტედმა“ გამოაცხადა, რომ ხუთავს თავის საწარმოს. ამის შედეგად კიდევ 1.500 მუშა დაჰკარგავს სამუშაოს.

იცავენ დემოკრატიას

პარიზი, 8 დეკემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გაიკცნენ „ბარიკადების პროცესის“ (ალჟირის მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების მონაწილეთა გასამართლება. — რედ.) მთავარი ბრალდებულნი, შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ეს გაკცევა და ხელისუფალთა წაყრუება, როცა საქმე ეხება ექსტრემისტებისა და ფაშისტების მოქმედებას, კვლავ ადასტურებს, თუ რა საფრთხე მოელის დემოკრატიასა და ხალხის ინტერესებს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ კვლავ დაადასტურა, რომ მშრომელები მზად არიან დაიცვან დემოკრატია და „ყოველ ძალადობას უპასუხონ მთელი იმ საშუალებებით, რომელიც მათ მოეპოვებათ, მათ შორის საყოველთაო გაფიცვით“. ბიურო მოუწოდებს მშრომელებს გამოიჩინონ სიფხიზლე, განამტკიცონ თავიანთი ერთიანობა და გააძლი

შრომის შედეგები, მომავლის პერსპექტივები

ᲛᲐᲚᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ რაიონის სოფლებში ზამთარი ძალაში ზევიდა, საგრძნობლად აცივდა. მაგრამ მინდვრად სამუშაოები როდი შეწყვეტილა. კვლავ განაგრძობენ ჩაის პლანტაციის ნიადაგის დარგას, სადარეججო არხების გაწმენდას, ჩაის თესლის შეგროვებას, მუშაობა გრძელდება შეხვავებული ჩაის ნერგების გამოსაყვანად. პლანტაციების სომეჩხრის ლიკვიდაცია 1961 წელს უნდა დამთავრდეს. ამთავითვე უნდა შეიქმნას საჭირო პირობა მომავალ წელს რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

განსაკუთრებით სერიოზული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის. ამ დარგს გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობების ეკონომიკაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება. პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად უნდა გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

სწორედ ამ საკითხებზე და სხვა გადაუდებელ ამოცანებზე მსჯელობდნენ დელეგატები გეგეჭკორის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. მომხსენებელი— პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი კ. ხუბულავა ფართოდ შეეხო საანგარიშო პერიოდში რაიონის მშრომელთა მიერ გაწეულ მუშაობას, სასიხარულო შედეგებს და საპეურნეო საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, უყურადღება გამახვილა ჩამორჩენის დაძლევის გზებზე.

—სიტყვა საქმედ ვაქციეთ, — ამბობდნენ კონფერენციის დელეგატები,— წელს გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 7.406 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.840 ტონისა. ამ გამარჯვებაში რაიონის ბევრ კოლმეურნეობას, მეჩაიეს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი.

ამასთანავე მომხსენებელი და დელეგატები მკაცრად აკრიტიკებდნენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებმაც უნარიანად ვერ გამოიყენეს არსებული რეზერვები, იკისრეს ვალდებულებანი და ვერ შეასრულეს. მაგალითად, დიდი ჭყონის კუბიშევის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს მუშაობის ერთნაირი პირობები აქვთ. პირველმა საშუალოდ ჰექტარზე 4.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — 2.360 კილოგრამი.

— წინა წლებში,—ამბობდნენ დელეგატები, — ყველას პირზე ეკერა სიტყვები: მეცხოველეობა ჩამორჩენილია, წველადობა დაბალია, ცუდი შედეგები გვაქვსო, ახლა შედარებით წელგამართული ვართ: წელს 8.605 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გვყავს, გეგმა კი 8.600-ს ითვალისწინებს. 1.720 ძროხის ნაცვლად 1.722 გვყავს, 2.000 ღორის ნაცვლად 2.540. 1 ნოემბრისათვის წარმოებულია 16.130 ცენტნერი რძე ნაცვლად 15.157 ცენტნერისა.

წელს საერთოდ რაიონში სიმინდის ცუდი მოსავალი როდია მიღებული. სამარცვლედ დათესილი 3.700 ჰექტარიდან საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 16 ცენტნერს მიაღწია.

კონფერენციაზე კარგი შედეგებით მოვიდნენ რაიონის ჩაის ფაბრიკები, რომლებმაც დადაამშვავეს 7.406 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ყველაზე უფრო დაწინაურდა დიდი ჭყონის № 2 ჩაის ფაბრიკა, რომელმაც რამდენიმე მილიონი მანეთი მოგება მისცა სახელმწიფოს. ადგილობრივი მეურნეობის კომბინატმა ათი თვის დავალება 115 პროცენტით შეასრულა, აეკრძალ ფაბრიკამ — 130 პროცენტით. სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონელბრუნვის ათი თვის გეგმა 104,1 პროცენტით გაანაღდეს.

დელეგატებმა ჯ. ბეჭვაიამ, მ. გეგეჭკორმა, ვ. თოდუამ, გ. ახალაიამ, თ. დგებუაძემ, ე. ბართაიამ, დ. გაბისონიამ, ქ. ფირცხალავამ, გ. ჯელიამ, შ. ოდიშარიამ, ვ. წოწორიამ, ე. ბართაიამ და სხვებმა ხაზი გაუსვეს საანგარიშო პერიოდში რაიონის მშრომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს. აღნიშნეს, რომ შესამჩნევად გაძლიერდა მასებში საბგტაციო-მასობრივი მუშაობა. უკეთ მუშაობენ პოლიტიკური განათლების სკოლები, წრეები და სემინარები, რაიონის ახალგაზრდობა ფართოდ არის ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში. საკმარისია ითქვას, რომ წელს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ მოკრიფეს 4.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც რაიონში მთლიანად მოკრეფილის ნახევარზე მეტია. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

— მაგრამ მიღწევებთან ერთად, — თქვეს დელეგატებმა, — არის ნაკლოვანებანი, ჩრდილოვანი მხარეები. ავიღოთ თუნდაც მევენახეობა. ეს დარგი დღემდე პატივისცემით არ სარგებლობს. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ მევენახეობაში ჩამორჩენის დასაძლევად. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 15-20 ცენტნერი ყურძენი.

შვიდწლედში რაიონში უნდა გაშენდეს 2.000 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია, ვენახი, დაფნა... ეს რთული სამუშაოა. როდემდის უნდა გაგრძელდეს მექანიზაციის დანერგვის შეუფასებლობა? — კითხულობდნენ დელეგატები. საკმარისად არ არის „დტ-54„ და „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორები, ჩაის სასხლავი მანქანები და სხვა ტექნიკა. ამ მაღალმთიან რაიონს მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები.

> **წელს გეგეჭკორელებმა სამშობლოს მისცეს 7.406 ᲬᲝᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 6.840 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ.**
>
> **ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲣᲚᲘ 6.440 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲠᲫᲔ ᲓᲐ 1.670 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ.**

დელეგატებმა აღნიშნეს საყოლმეურნეო კადრების აღზრდისა და ქალთა დაწინაურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. კარგი როდია ის, რომ 28 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლებით არის 18 კაცი. აქედან აგრონომია 9 კაცი. მემანდვრეობის 222 ბრიგადირიდან უმაღლესი განათლებით არის 2, 28 ფერმის გამგიდან მხოლოდ ერთს აქვს უმაღლესი განათლება, საშუალო ზოოტექნიკური განათლებით არის 6 კაცი. ცუდ მუშაობას მოწმობს ის, რომ რაიონში კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარედ არც ერთი ქალი არ არის.

დელეგატმა ჯ. ბეჭვაიამ კონფერენციის წინაშე დააყენა საკითხი, რომ დიდიჭყონის ახლოს, დომაყეს უბანში დიდი მასივებია დაფნის გასაშენებლად. გ. ახალაიამ აღნიშნა, რომ ლეხაინდრაოში ფართოდ გაჩაღებულმა შეჯიბრებამ კოლმეურნეობას დამატებით მისცა ათობით ტონა ჩაის ფოთოლი და ნახევარ მილიონამდე ფულადი შემოსავალი. აქ შენდება კულტურის სახლი, რომელიც 800-მდე მაყურებელს დაიტევს.

ეს კარგია. მაგრამ მისი სიტყვიდან გამოირკვა, რომ ასეთ დიდ მშენებლობას აწარმოებენ და დღემდე სოფელს აბანო არა აქვს.

კონფერენციის მუშაობა, დელეგატების გამოსვლები იმას მოწმობდა, რომ გეგეჭკორელი მშრომელები მზად არიან ყოველი ღონისძიებით გამოასწორონ ნაკლოვანებანი, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს, საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს და ვადამდე გადაარბენით შეასრულონ შვიდწლედის დასახული დიადი გეგმები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამბ. ფ. დუმბაძემ. მან თქვა: მოპოვებული მიღწევები მეტი იქნებოდა, პარტიულ ორგანიზაციებს. კომუნისტებს მეტი ინიციატივა რომ გამოეჩინათ სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დასანერგავად, გაეწიათ მეტი ორგანიზატორული მუშაობა, გონივრულად გამოეყენებინათ ყველა რეზერვი.

— კოლმეურნეობებში შრომის სწორად მოწყობა, ორგანიზატორული მუშაობა, — ამბობს ამხ. დუმბაძე, — წარმატების მოპოვების საწინდარია. ამხ. დუმბაძემ კონფერენციის დელეგატების ყურადღება მიაქცია შრომის დისციპლინის დარღვევის, საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-დატაცების, სპეკულაციის (ცდების, ხულიგნობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. ხუბულავა, მეორე მდივნად — ამხ. შ. წოწორია, მდივნად —ამხ. ვ. ბერათელი.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კომუნიზმი მოაბიჯებს ქალაქში

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲜ კომუნისტურად შრომა, სწავლა და ცხოვრება — აი ლოზუნგი, რომლითაც იბრძვიან დღეს რესპუბლიკის უველაზე ახალგაზრდა ქალაქის — ინდუსტრიული რუსთავის მშრომელები. მათ რამდენიმე თვის წინათ საქვეყნოდ დადეს პირობა, რომ ქალაქ რუსთავს გადააქცევენ შრომის მაღალი ნაყოფიერების, სანამუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

ამ პატრიოტული ინიციატივის გამოჩენიდან გავიდა ნახევარი წელი, და ქალაქში უკვე გამოჩნდა კომუნიზმის ხილული ნიშნები.

...როცა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს საბოუვე ეზოს კოლექტივი კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ღონისძიებებს იმუშავებდა, ყველა მივიდა ერთ დასკვნამდე— ლიკვიდაცია უყონ ტექნიკური კონტროლის განყოფილებას და თვითეულმა მუშამ, ტექნიკოსმა თუ ინჟინერმა თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხზე. აი სწორედ აქ იჩინა თავი კომუნისტური შრომის პრინციპმა — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. გააუქმეს ტექნიკური კონტროლის განყოფილება. შედეგი? საუკეთესო. ექვსი თვის მანძილზე ადგილი არ ჰქონია ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ადამიანებში იმატა პასუხისმგებლობისა და ამხანაგისადმი პატივისცემის გრძნობამ, გაკრა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, სახელმწიფომ მიიღო დიდი ეკონომია.

კიდევ ერთი დეტალი: საბრძმედე საამქროში მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ ენდონ ერთმანეთს, თვითონ გაუწიონ კონტროლი თავიანთ საქმიანობას და გააუქმონ მეტაბელე-აღმრიცხველების შტატი.

— თუ კი ვინმე ხელს შეგვიშლის მუშაობაში, კოლექტიურად მოვუწოდოთ წესრიგისაკენ, — განაცხადეს მათ და ნათქვამს ხორცი შეასხეს. შეჯამებულია უალმრიცხველეობოდ მუშაობის პირველი შედეგები. მინიმუმამდე დავიდა სამუშაოს გაცდენა და დაგვიანება. საკრძნობლად ამაღლდა ადამიანების შეგნება, იგი ნამდვილად კომუნისტური გახდა.

მეტალურგიულ ქარხანაში ბევრ ბრიგადას, ცალას, უბანს თუ საამქროს უკვე მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება. ამ კოლექტივებს ხელმძღვანელობენ ცნობილი მეტალურგები ა. ფანცულაია, ა. ჯაჯანიძე, ნ. კურატაშვილი, დ. ძაგანია, ხ. სიხარულიძე, გ. გეკორქიანი და სხვები. მათ შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს. კოლექტივის ყველა წევრი, ჩაბმულია სწავლების ამა თუ იმ ფორმაში, განხორციელებულია პრინციპები: „დაეხმარე ამხანაგს, გახადე იგი მოწინავე“, „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ და სხვ.

კომუნისტური შრომის ადამიანებს თან ახლავთ სიახლის გრძნობა. მომავლის ეს მზვერავები, იხედებიან რა შორს, ძიებისა და დაკვირვების შედეგად აღწევენ წარმოების პროცესების გაჯანსაღებას, სრულყოფას.

ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქრო უკვე ატარებს კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების კოლექტივის საპატიო სახელს. საამქროში ეს ნიშნავს, რომ მაქსიმალურად დანერგონ დგანების, აგრეგატებისა და სხვა დანადგარების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია. ქარხნის ერთ-ერთ წამყვან მილსაგლინავ საამქროში დამონტაჟებულია უმძლავრესი აგრეგატი „400“. ეს ის მექანიზმია, რომელიც ნაჭერ ლითონს სხვადასხვა ზომის მილად აქცევს. აგრეგატს მოქმედებაში მოჰყავს 2.000-ზე მეტი მოტორი და მას ემსახურება 20 ოპერატორი.

— ხომ არ შეიძლება ოპერატორების რიცხვი კიდევ უფრო შევამციროთ? — დაუსვეს თავის თავს კითხვა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქროს მუშაკებმა და წინასწარ ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების შემდეგ დაისახეს მიზნად: პირველ შემთხვევაში ოპერატორების რიცხვი დაიყვანონ 15-მდე, შემდეგ 10-მდე და საბოლოოდ — 3-მდე. ამ შესანიშნავ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი ქარხანაში. მალე იგი სამუშაო გეგმაშიც შეიტანეს და ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქროს მუშაკებმა წარმოების ნოვატორებთან მჭიდრო კავშირში იწყეს დასახული მიზნის პრაქტიკული განხორციელება. დღეისათვის ეს საქმე უკვე შესრულებულია 70-75 პროცენტით.

კომუნისტური შრომა, სწავლა და ცხოვრება... ეს ინიციატივა რუსთავში პირველად ა. ძამაშვილის მებრძმედეთა ბრიგადაში დაიბადა. დროშას, რომელიც პირველად რუსთავში მეტალურგებმა ასწიეს, ფართოდ ჩასჭიდეს ხელი მეცემენტეებმა, ქიმიკოსებმა, მშენებლებმა და მექანიზატორებმა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური შრომისა და ყოფისათვის იბრძვიან არა მარტო ცალკეული ბრიგადები, საამქროები თუ ქარხნები, არამედ მთელი ქალაქი, ქალაქის ყველა მშრომელი.

სევასტოპოლის, ოდესის და კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის სახელისათვის მებრძოლი სხვა ქალაქების მაგალითისამებრ რუსთავში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა და მუშაობას განაგრძობს კულტურისა და ხელოვნების, ტექნიკური კულტურისა და სამედიცინო უნივერსიტეტები. კულტურის უნივერსიტეტს შეფობას უწევს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა.

ქალაქში სანამუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში თავის სიტყვას ამბობენ სახალხო რაზმეულები. მათი აქტიური მოქმედების შედეგად ქალაქში გაუქმდა 10-ზე მეტი მილიციის საგუშაგო. ქალაქში საგრძნობლად იკლო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევებმა.

რუსთავის კომუნისტური შრომის ქალაქად გადაქცევის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია შვიდწლედის მასშტაბის ახალი ვალდებულებანი, რომლებიც ამ დღეებში განიხილა და მიიღო ქალაქის საბჭოს აღმასკომის გაფართოებულმა სხდომამ. ეს ვალდებულებები მეტალურგიული, ქიმიური, ცემენტისა და სხვა პროდუქციის ზრდის ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებენ ქალაქში მაღალი კულტურის დამკვიდრებას. მაგალითად, დიდად გაიზრდება [illegible] აქტივობა, რაც საშუალებას შექმნის ქალაქში დამკვიდს სანამუშო წესრიგი. მალე საზოგადოებრივი ტრანსპორტი ომუშავებს უკონტროლორობოდ. თვითმოქმედი კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა წარმმართავს საზოგადოებრივ საწყისებზე, კინოთეატრებშიც გაუქმდება „კონტროლიორების შტატები. თვითეული ბაბუკი თუ ქალიშვილი გახდება ბიბლიოთეკის აქტიური წევრი, 300 ახალგაზრდა, როგორც საზოგადოებრივი წიგნდამტარებელი, პროპაგანდას გაუწევს წიგნებს მოსახლეობაში.

ახალგაზრდობის ძალებით წელს ქალაქში დაარგავება 20.000 მწვანე ნარგავი, 600 ძირი ხეხილი, 1.200 ძირი ვაზი. მრავალი ღონისძიება განხორციელდება ქალაქში სპორტული მუშაობის უკეთ დასაყენებლად. მარტო წელს 20 ეზოში გაკეთდება სპორტული და საბავშვო მიდენები, ხოლო შვიდწლედის ბოლოსათვის იგი გაკეთდება თითქმის ყველა ეზოში. დაწყებულია ა საზოგადოებრივი ბალების შენდება ზამთრის საცურავაუზი.

ახალგაზრდობის საზოგადოებრივი გაწათლების დონის ამაღლების მიზნით 1963 წლისათვის არ დარჩება არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც ჩაბმული არ იქნება სწავლაში. მომავალ წელს შეიქმნება საკონსულტაციო პუნქტები, რომლებიც საშუალო ან უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად მოამზადებენ ახალგაზრდებს.

ასე თანდათანობით გადაიქცევა ინდუსტრიული რუსთავი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

შ. თინთბერიძე,
საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: რუსთაველ მეფოლადეთა მოწინავე ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ) — მ. შიობრიშვილი, ი. ტაბატაძე, ი. ლურსმანაშვილი და ლ. ლობეანიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲨᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ზესტაფონელი და მოპაკი სომხეთის ალავერდის რაიონის მშრომელები.

ამ დღეებში სომხეთში გაემგზავრა ზესტაფონის მშრომელთა დელეგაცია, „ოქმელსაც ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე თ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. დელეგაციაში შედიან ფეროშენაგნობთა ქარხნის ცვლის უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. მელქაძე, სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეკვინახე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ყვანტრიშვილი, არგვეთის ქარხანა — საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი დ. ლელაძე, სოფელ საქარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ქათამაძე.

დელეგაცია გაეცნობა ალავერდის სპილენძის კომბინატს, ალავერდელი კოლმეურნეების მუშაობას, შეამოწმებს სომეხ მეგობრებთან შეჯიბრების მიმდინარეობას, სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას.

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ

ᲖᲔᲓᲐᲡᲐ და მთას შუა მომწყვდეულ ქალაქს ისღა დარჩენია ჩექმის ყელივით შევიწროვდეს. მრავალ კილომეტრზე გაჭიმული მისი მთავარი ქუჩა დიდ მდინარეს მოგვაგონებს თავისი პატარა შენაკადებით.

მუდამ წარმტაცია საქართველოს შავიზღვისპირეთის ეს კუთხე, მაგრამ ვერაფერი ვერ შეედრება მას შემოდგომით! ბუნებას აქ ისე ჰარმონიულად შეუზავებია ზღვისა და ხმელეთის ჰავა, რომ იგი, როგორც იტყვიან, „მკვდარსაც გააცოცხლებს“. ამიტომ მოუწევთ აქეთკენ გული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის ადამიანებს.

ზღვის სიყვარული იზიდავს აქეთკენ ამ მოხუცსაც — ცისმარე დღეს ზეზე რომ ხვდება მზის დადგებას. დინჯი და მოზომილი ნაბიჯით მოიგლის სანატორიუმ „გაგრის“ ეზო-პარკის ყოველ კუნჭულს, ღრმად სუნთქავს ფიჭვისა და ნაძვის სურნელებით გაჟღენთილ ჰაერს.

მთელი საათობით დგას იგი ზღვის ნაპირას, გასცქერის მის უსასრულო სივრცეს, თვალს უშტერებს ჩამავალი მზის სხივებს, წითლად რომ აფერადებს ჰორიზონტს. ზოგჯერ გულუბრყვილო ბავშვივით აგროვებს პლაჟზე ნაირნაირი ფერისა და მოყვანილობის ქვებს თუ კენჭებს. ვინ იცის, რამდენჯერ გაუწევს გული წყლისკენ, რომელიც სავსეა დამსვენებლებით, მაგრამ თითქოს ყურში ჩასძახის მკაცრი, მომთხოვნი ექიმის გაფრთხილება. ალექსი პეტრეს-ძეც პუნქტუალურად იცავს რეჟიმს, ფეხსაც არ ისველებს წყალში.

განსაკუთრებით იტაცებს ალექსი ზაკომოლდინს მღელვარე ზღვა. იგი მას სიმბოლურად აგონებს რევოლუციის აქოჩრილ ტალღებს, რომელშიც იგი, ჯერ კიდევ ჭაბუკი, ამ სამოციოდე წლის წინათ გადაეშვა. და რევოლუციის ხომალდმა, რომლის მეზღვაური ალექსი ზაკომოლდინიც იყო, ნაცადი კაპიტნის — კომუნისტური პარტიის — მეთაურობით გაუძლო ბევრ ღელვას, განსაცდელს და გამარჯვებულმა ღუზა ჩაუშვა 1917 წლის ოქტომბერში.

უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა ღარიბი ხელოსნის შვილს — ალექსი ზაკომოლდინს. შვიდი შვილის მამა პეტრე ზაკომოლდინი წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ მის ოჯახს მაინც თავს შიმშილისა და სიცივის აჩრდილი დასტრიალებდა. 13 წლის ალექსი შეგირდად ეწყობა კერძო ქარხანაში. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში იგი სამუშაოდ გადადის ამიერკავკასიის რკინიგზის დეპოში. აქ შეგნებული რევოლუციურ მოძრაობაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ალექსის ვხედავთ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც გაეცნო იმ დროისათვის უკვე ცნობილ ბევრ რევოლუციონერს, მათ შორის ი. ბ. სტალინს. ა. ზაკომოლდინი არის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს 1900 წლის აგვისტოს გაფიცვის, აგრეთვე თბილისის პირველი არალეგალური მაისობების აქტიური მონაწილე.

— რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, — იგონებს ალექსი პეტრეს-ძე, — გვერდიგვერდ იდგა ჩემი და მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ჩარხები. მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა და მისგან ბევრი რამეც ვისწავლე.

ა. ზაკომოლდინი სხვადასხვა დროს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, ბაქოში, ეკატერინოსლავში, მარიუპოლში, კიევში, დონბასში, ბათუმში, ქუთაისში... დევნა, შევიწროება, შიმშილი, ციხე, გადასახლება, კატორღა — აი ა. ზაკომოლდინის ცხოვრების თანამგზავრი. მან ორჯერ იგემა მეტეხის ციხის საშინელებანი და ციმბირის გადასახლების ენით აუწერელი კოშმარი. ეანდარმები მას ი. სემიგოდოვის სახელით იცნობდნენ.

ᲓᲘᲓᲘ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ალექსის მოუსწრო კიევში, სადაც იგი შემდგომ იბრძოდა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

1923 წელს ალექსი ზაკომოლდინი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში — მშობლიურ თბილისში დაბრუნდა.

ეს იყო მისი მეორედ დაბადება. ჭრილობებს იშუშებდა მენშევიკებისაგან აოხრებული და გაჩანაგებული საქართველო. და რევოლუციის ჯარისკაცი ახლა უკვე შრომის ფრონტზე მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა. მხურვალე გულით და ახალი ენერგიით ჩაება იგი ქალაქის აღდგენისათვის ბრძოლაში.

პარტიის თბილისის კომიტეტმა ალექსი 26 კომისრის სახელობის ქარხანაში გაგზავნა. ქარხანა ერქვა, თორემ სინამდვილეში რა ქარხანა იყო?! იგი უფრო უბრალო ავტოსარემონტო სახელოსნოს წარმოადგენდა, რომელსაც არ ჰყავდა კადრის მუშები და სპეციალისტები, არ გააჩნდა სათანადო ტექნიკა.

სამ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ზაკომოლდინმა ამ ქარხანაში. მის თვალწინ გაიზარდა ეს საწარმო, რომლის პროდუქციას მთელ რესპუბლიკაში, კავშირში, მის ფარგლებს გარეთაც იცნობენ.

ქარხანასთან ერთად იზრდებოდა ზაკომოლდინიც. რიგითი მუშა საამქროს უფროსი გახდა. მოწადინებულმა კაცმა უკვე დიდ ასაკში მიიღო ექვსი კლასის განათლება და დაამთავრა საღამოს ტექნიკური სკოლა. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რაციონალიზატორული ბიუროს მუშაობას, თვითონაც ბევრი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

1900 წლიდან სკკპ წევრს ა. ზაკომოლდინს იცნობენ როგორც კარგ საზოგადოებრივ მუშაკს. იგი მრავალჯერ იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრი. მას მკერდს უმშვენებს რამდენიმე ორდენი და მედალი.

გასული წლის ივნისის დღე მარად დარჩება ალექსი ზაკომოლდინის ხსოვნაში. პენსიაზე გასული მოხუცი ამ დღეს ქარხნიდან წავიდა. მთელმა კოლექტივმა გააცილა იგი. სპეციალურად მოწყობილ საღამოზე ითქვა ბევრი ამაღელვებელი სიტყვა, რომელთაგან ყველაზე გულშიჩამწვდომი ალექსი ზაკომოლდინისა იყო. მრავალჭირნახულ კაცს თითქოს ძალა არ ყოფნიდა, სიტყვებს ვერ პოულობდა, თვალზე ცრემლი ერეოდა. ეძნელებოდა მშობლიური ქარხნის, ცხოვრების თანამგზავრის — დაზგის დატოვება, ამხანაგებთან დაცილება. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო — მრავალ ბრძოლასა და შრომაში გამოვლილ ორგანიზმს დასვენება ესაჭირობოდა.

ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ქარხნიდანო, განა ვისმეს შეუძლია თქვას ზაკომოლდინზე, რომელსაც აქ, ამ ქარხანაში გაუტარებია თავისი შემოქმედებითი აყვავების წლები, სამუდამოდ მიატოვოს საწარმო და უკან აღარ მოიხედოს? ცხადია, არა, და პენსიაზე გასულ მოხუცს კვლავაც ნახავთ ქარხანაში. ყოველთვის მოუთმენლად ელის ნაცნობ-მეგობრებთან, თავის ალზრდილებთან შეხვედრას. ისინი მოუთხრობენ ამაგდარ მოხუცს საწარმოს ცხოვრების ახალ ამბებს, აცნობენ მისი მომავლის პერსპექტივებს. თავის მხრივ მოხუცი ბევრ სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევს ახალგაზრდებს, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების დიდ გზაზე გამოდიან.

ბედნიერი სიბერე აქვს ამაგდარ მოხუცს. ტაბილად ცხოვრობს პერსონალური პენსიონერი თბილისში, კამოს ქუჩაზე, კეთილმოწყობილ ბინაში. დადის, დაფუსფუსებს, ერთობა, ჟურნალ-გაზეთებს ჩაჰკირკიტებს...

ვუსურვოთ მას კიდევ დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა!

Ბ. ᲖᲣᲙᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

გაგრა. ოქტომბერი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ, ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ასპინძის რაიონმა ვერ შეასრულა მარცვლეულის, ხილის, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები. შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე ძროხისა და ცხვრის სულადობის, ხორცის წარმოების დავალებანი. ეს ნაკლოვანებანი გასულ წელს რაიონული პარტიული კონფერენციის ფართო მსჯელობის საგანი გახდა.

პარტიის რაიკომის ახალმა შემადგენლობამ საჭირო დასკვნები გამოიტანა კომუნისტების ჯანსაღი, საქმიანი კრიტიკიდან, სათანადო კონტროლი დაწესა კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილების განხორციელებაზე.

შედეგიც კარგია. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა არსებითად გაუმჯობესეს სოფლის მეურნეობისადმი, კერძოდ მისი წამყვანი დარგისადმი — მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობა და მბრძოლველანი წარმატებებიც მოიპოვეს.

მიმდინარე წლის ათ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.389 კილოგრამი რძე, რაც გაცილებით მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე. რძის წარმოება 2-2,5-ჯერ გაზარდეს ტოლოშის, ოშორის, იდუმალისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. ათ თვეში სახელმწიფოს მიეყიდა 6.440 ცენტნერი რძე და 1.670 ცენტნერი ხორცი, ანუ იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებდა, გადაჭარბებით შესრულდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის სულადობის ზრდის, სიმინდის, ხილის მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური კალდებულებანი.

ამ წარმატებებსა და რაიონის ეკონომიკისა და კულტურის დარგში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე საქმიანი სკა-ბასსი გაიმართა ამას წინათ შემდგარ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ფ. ლაზარაშვილმა, აგრეთვე კამათში გამოსულმა დელეგატებმა — ოშორის კოლმეურნეობის ნარ

ვაზი—ქართული მიწის მშვენება

ვენახს მოუვლი, გაგახარებს!

გურჯაანის რაიონში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მევენახეობას. ეს დარგი დიდ როლს ასრულებს რაიონის ეკონომიკაში. იმის მეოხებით, რომ რაიონის მშრომელები განუხრელად ასრულებენ პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანებს, რაიონის ბევრი კოლმეურნეობა წლების მანძილზე მევენახეობაშიც გარკვეულ წარმატებებს აღწევს.

მართალია წელს სეტყვამ, უამინდობამ ბევრად შეამცირა ყურძნის მოსავლიანობა, მაგრამ ჩვენს მევენახეებს ამის გამო გული არ გასტეხიათ. პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით რაიონში რთვლის დამთავრებისთანავე გაჩაღდა ვენახების საშემოდგომო დამუშავება.

ახლა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული 5.025 ჰექტარი ვენახიდან რიგთა შორის მოხნულია 4.530 ჰექტარი, სიმეჩხრის აღკვეთის მიზნით გადაწვენილი და გამორგულია 150.400 ძირი ვაზი. გაშენებულია 230 ჰექტარი ახალი ვენახები. მოსავლიან ვენახებში შეტანილია 3.500 ტონაზე მეტი მინერალური და ორგანული სასუქები.

მევენახეთა შრომა კიდევ უფრო გაცოცხლდა და აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ცნობა, რომ მომდინარე წლის 13 დეკემბერს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობას შეუდგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, იქ მომუშავე კომუნისტები აქტიურად ჩაუდგნენ სათავეში პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებას. გაჩაღდა რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ მაღალი მაჩვენებლებით დამთავრდეს მიმდინარე სამეურნეო წელი და ამასთან მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს მომავალი წლის ყურძნის უხვ მოსავალს.

ამ დღეებში მოეწყო მოწინავე მევენახეთა რაიონული შეკრება, რომელზეც ჩვენმა მევენახეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი შემოდგომა-ზამთრის სამუშაოების შესრულების დარგში.

რაიონის საბჭოთა მეურნეობებსა და მეტწილ კოლმეურნეობებში ახლა გტცხოველებული მუშაობა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის. სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობამ, რომელსაც 446 ჰექტარი ვენახი აქვს, უკვე მთლიანად დაკითავარა რიგთა შორის ხვნა და ვაზის ძირების გამოთხნა. ვენახების დამუშავება ასევე კარგად არის დაყენებული სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში", სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის, სოფელ ჭანდრის, სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში, აგრეთვე სამტრესტის მუკუზნის, შრომის და კარდანახის საბჭოთა მეურნეობებში.

მევენახეობის განვითარება და ყურძნის საერთო წარმოების გადიდება დამოკიდებულია არა მარტო ყურძნის მოსავლიანობის ზრდაზე, არამედ ახალი ვენახების გაშენებაზეც. რაიონში ვენახების გაშენების მიმდინარე წლის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 320 ჰექტარის გაშენება, ვალდებულება ვიკისრეთ შეგვესრულებინა 25 ნოემბრამდე. გურჯაანელმა მევენახეებმა თავიანთი სიტყვა უკვე გაანაღდეს. შვიდწლიანი გეგმით რაიონში ვენახების ფართობი აყვანილ იქნება 14.000 ჰექტარამდე. ვახორციელებთ ყველა ღონისძიებას იმისათვის, რომ აღნიშნული გეგმა ვადაზე ერთი წლით ადრე — 1964 წლისათვის შევასრულოთ.

მევენახეობის განვითარებისათვის ცუდად რიდი ვიყენებთ ადგილობრივ რეზერვებს და შესაძლებლობებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენს მევენახეობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საჭირო მექანიზაციის გატარების, ვაზის საყრდენი მასალის მომარაგებისა და სხვა სამუშაოთა მხრივ. უნდა შეინუშავდეს უფრო ეფექტური ღონისძიებანი ვაზის მავნებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველად.

ახლა ჩვენი რაიონის ზვრებში ყველა გულმოდგინედ შრომობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ „კდ-35" მარკის ტრაქტორები, ვენახის გუთნები, კულტივატორები. იგივე ითქმის შესაბამისი სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებზე.

ᲖᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘᲡ მიდამოებში, იქ, სადაც ამჟამინდელ ილტო ალაზანს ერთვის, გაცხოველებული მუშაობაა. ამ ისტორიულ ადგილებში ახმეტის ახლად ფეხადგმული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებზე რქაწითელისა და საფერავის ზვრებს აშენებენ.

სხვებთან ერთად გულმოდგინედ შრომობს ეს პირმცინარე გოგონაც. ვაზის ნერგებს რომ დაპყურებს. ეკატერინე ქინქლაძემ დიდი ხანი არ არის, რაც ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა და საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ვაზის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებს. ამით ეკატერინეს თავისი წვლილი შეაქვს ახმეტელი მევენახეების საერთო წარმატებაში, რომელთა ამოცანაა წელს 160 ჰექტარზე გააშენონ ახალი ზვრები.

სურათზე: ე. ქინქლაძე.

ფოტო და ტექსტი
ვ. ყუშიტაშვილისა.

ᲩᲐᲕᲣᲤᲘᲥᲠᲓᲔᲗ; ᲐᲡᲔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲡ სოფლებში ხშირად ხდება ასე: ჩაუვლი ნაცნობ საკოლმეურნეო მინდვრებს და ყველაფერი გესხვაფერება — სადაც ამ მოკლე ხნის წინათ ბუჩქნარი ან ახოები იყო, იქ ახალშენი ზვრები გადაუჭიმავთ...

იზრდება ვენახები. მატულობს მოსავლიანობა. უმჯობესდება ხარისხი. მაგრამ ამ წერილში როდი ვილაპარაკებთ მხოლოდ უხვი მოსავლის ოსტატებზე. ჩვენი სურვილია მოკლედ შეეხოთ ერთ საკითხს, სახელდობრ იმას, თუ რატომ ხდება, როცა ზოგჯერ (და არც თუ იშვიათად), კოლმეურნე ან საბჭოთა მეურნეობის მუშაკი ყურძნის გაცილებით დიდ მოსავალს იღებს თავის საკუთარ ნაკვეთზე, ვიდრე ის კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, სადაც იგი მუშაობს.

ერთი შეხედვით ეს, თითქოს უბრალო საკითხია. მაგრამ ასე როდია საქმე.

სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე" მართლაც რომ მევენახეობის ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა თელავის რაიონში. ამ კოლმეურნეობაში შარშან საშუალოდ ჰექტარზე 65 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, წელს კი — მიუხედავად ცუდი ამინდებისა — 59 ცენტნერი. კოლმეურნეობაში 265 ჰექტარი ვენახია და ბევრით ნაკლები არც კოლმეურნეებს აქვთ თავიანთ პირად სარგებლობაში. და აბა ერთი ვნახოთ, როგორ მოსავალს იღებენ ისინი თავიანთი ნაკვეთებიდან!..

კოლმეურნე ივანე ბლუიშვილი 75 წლის მოხუცია, მაგრამ ისე არ გაიყვანს ყელს, რომ 400-500 შრომადღე არ გამოიმუშავოს. ამავე დროს თავის საკუთარ ნაკვეთსაც არ აკლებს ხელს. შარშან მოიუცმა 0,25 ჰექტარი საკარმიდამო ვენახიდან 40 ცენტნერი ყურძენი მიიღო, რაც ჰექტარზე გადაყვანით 80 ცენტნერს უდრის. წინა წლებში კი, როცა ამინდი ხელს უწყობდა, ივანე ბლუიშვილს ბევრჯერ მიუღია ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძენი.

აკურის კოლმეურნეობაში კიდევ უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წელს, როცა საზოგადოებრივ ვენახებში საშუალოდ ჰექტარზე 59 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ქევხიშვილმა თავის 0,30 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთზე 50 ცენტნერი ყურძენი მიიღო, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 150 ცენტნერს უდრის.

შეფარდება, როგორც ვხედავთ, მეტად განსხვავებულია — 59:150 ცენტნერი!

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ქევხიშვილი ამას იმით ხსნის, რომ საკარმიდამო ვენახები ვაზით არის სავსე, იქ ადგილი არა აქვს სიმეჩხრეს, კოლმეურნეობის ვენახებში კი ვერ იქნა და ვერ მოისპო სიმეჩხრე.

მართალს ამბობს თავმჯდომარე, მაგრამ რატომ არის ასე? ამუამადაც, როცა მთელი ჩვენი რესპუბლიკის მევენახეები საფუძველს უყრიან შვიდწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს, აკურის კოლმეურნეობის ზვრებში სიმეჩხრე 20 პროცენტს აღემატება.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ამ კოლმეურნეობაში რთველი ზოგჯერ ოც დღეზე მეტს ჭიანურდება. რას იწვევს ეს? ცხადია, ყურძნის დიდ დანაკლისს.

აღნიშნული და სხვა მსგავსი შაგალითები მხოლოდ აკურის კოლმეურნეობისათვის როდია დამახასიათებელი. ახლითავე მდგომარეობაა თელავის რაიონის სხვა კოლმეურნეობებში და განა მარტო თელავის რაიონში? ასეა მევენახეობის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

აი, მაგალითად, სამტრესტის ნაფარეულის ღვინის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობა. უკანასკნელი ოთხი წლის მონაცემებით აქ საშუალოდ ჰექტარზე ყურძნის მოსავალი 41 ცენტნერს არ აღემატება. მეურნეობის მუშებს კი მ. სიბაშაძეს, ზ. მამალაშვილს, კ. კახაშვილს, ო. გიორგაძეშვილს და სხვებს ამავე წლებში თავიანთ საკარმიდამო ვენახებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული აქვთ არანაკლები 80-100 ცენტნერი ყურძნისა.

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, — ამბობს ღვინის ქარხანა-მეურნეობის დირექტორი ა. გოგიძე, — რომ ჩვენი მუშები მეურნეობასთან შედარებით გაცილებით დიდ მოსავალს იღებენ. ეს, ჩემი აზრით, იმით უნდა ავხსნათ, რომ მეურნეობაში დანერგილია გამომუშავების ნორმები.

რას გვეუბნება ამით ნაფარეულის ღვინის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის დირექტორი? სწორია თუ არა იგი? ცხადია, არა!

მცირე მოხავლიანობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მეურნეობა ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ იყენებს ვენახებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების პროგრესულ მეთოდებს.

ეს მეტად მტკივნეული საკითხია ახლა არა მარტო ნაფარეულის, არამედ მევენახეობის სხვა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშიც.

ს. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ:

ჩვენს რესპუბლიკაში ვენახის ფართობის მხრივ პირველ ადგილზეა გურჯაანის რაიონი — 5.426,4 ჰექტარი, მეორეზე — ზესტაფონის რაიონი — 4.881,7, მესამეზე — თელავის რაიონი — 4.471,2, მეოთხეზე — ჩხარის რაიონი — 2.443,4, მეხუთეზე — ორჯონიკიძის რაიონი — 2.419,7 ჰექტარი.

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ

საქართველოში გავრცელებულმა ვაზის ძვირფასმა ჯიშებმა — რქაწითელმა, საფერავმა, მწვანემ, ციცქამ, ცოლიკოურმა, ჩინურმა, ხიხვერმა, ალექსანდროულმა, ოჯალეშმა და სხვ. შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს ღვინოებს. და ეს ბუნებრივია, რადგან რესპუბლიკის ეკოლოგიური პირობები ყოველმხრივ უწყობენ ხელს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას.

მაღალხარისხოვანი ღვინის მიღება ტექნოლოგიურ პროცესებთან ერთად დიდად არის დამოკიდებული თვით ყურძნის პროდუქციის ხარისხზე. მაგრამ სამწუხაროა, რომ ხშირად მეღვინეობის საწარმოები არაკონდიციურ მასალას იღებენ გადასამუშავებლად, ხოლო ეს სპბოლოო ანგარიშით იქვევს ღვინის ხარისხის მნიშვნელოვნად შელახვას. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აღგილი აქვს ტექნოლოგიური პროცესების უხეშად დარღვევას, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ღვინოზე.

ყურძნის ხარისხის დაცვის მიზეზი მრავალია საქართველოში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვაზის ჯიშების სწორი შერჩევა-გაადგილება ღღეს მეტად მტკივნეულ ტბანს წარმოადგენს ჩვენს მევენახეობაში. ქართველი ევენახეები ამ ბოლო დროს შედარებით ო�d გზას დაადგენენ. სამრეწველო ვაზის 16 ჯიშიდან, რომლებიც უკვე დიდი ხანია მიღებულია სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინოების დასამზადებლად, ფართოდ ავრცელებენ მხოლოდ რქაწითელს და ცოლიკოურს (ალმოსავლეთ საქართველოს რაიონებში — რქაწითელს, დასავლეთში — ცოლიკოურს).

ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ჯიშები უხვმოსავლიანობასთან ერთად გარეგნ პირობებისადმი ადვილად შეგუების უნარით ხასიათდებიან, რა თქმა უნდა, რქაწითელი და ცოლიკოური ცალკეაც უნდა განვითარდეს. როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიშები, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიულად სახელმოხვეჭილ ქართული ვაზის ჯიშებს — საფერავს, მწვანეს, ხიხვს, გორულ მწვანეს, კრახუნას, ჩხავერს და ოჯალეშს, რომელთა ფართობი ამჟამად ართუ არ დიდდება, როგორც ეს გეგმით არის გათვალისწინებული, არამედ მკვეთრად კლებულობს ან ერთ დონეზეა. საფერავი, რომელმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვა ქართულ წითელ ღვინოს, 2.400 ჰექტარიდან ღღეს 2.100 ჰექტარამდეა დაყვანილი. ამ ჯიშისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოველდ დაუშვებელია.

ამჟამად მწვავედ დგას მთიან რაიონებში მევენახეობის განვითარების საკითხი. მაგალითად, მესხეთში მევენახეობა-მეღვინეობა ისტორიულად არის ცნობილი, ამიტომაც უკანასკნელ ხანებში ძევენახეობის აღსადგენად იქ დიდი მუშაობაა გაწეული. ასპინძის, ახალციხისა და ნაწილობრივ ადგილის რაიონებში სამს ჰექტარზე მეტი ვენახი გაშენდა. მაგრამ ვაზის ჯიშების არასწორი შერჩევისა და სამუშაო პროცესების უწესოდ ჩატარების შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას გული აუცრუვდა ამ დარგის განვითარებაზე.

აგროღონისძიებათა კომპლექსიდან, რაც ესოდენ დიდ გავლენას ახდენს ყურძნის ხარისხზე, აღსანიშნავია: ადგილმდებარეობის მიხედვით საკენახე ფართობებისა და მიაღგების შერჩევა-გამოყოფა, ვენახის გაშენება კვების არის გათვალისწინებით, საყრდენი სამუალებანი, დატვირთვა-ფორმირების საკითხი, სასუქების რაციონალურად გამოყენება, ვენახების მოოწყვისა და მწვანე ოპერაციების ზუსტი ჩატარება, მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა და ბოლოს, რთვლის ნორმალური ვადების დადგენა სამეურნეო მიმართულების მიხედვით.

განვიხილოთ აქედან რამდენიმე ძირითადი საკითხი.

ყურძნის ხარისხის დაცვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ვაზის უწესოდ დატვირთვა და ფორმირება. ჩვენი მევენახეები ზოგიერთ შემთხვევაში არასერიოზულად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. ვაზს განურჩევლად ასაკისა და სიძლიერისა, გადაჭარბებით ტვირთავენ და ხშირად აგროფონას შეუქმნელად იღებენ დიდ მოსავალს. ამის გამო ხელოვნურად სცემენ პროდუქციის ხარისხს, იწვევენ ვაზის დაკნინებას და მწყობრიდან გამოჰყავთ ვენახები.

ჩვენს ქვეყანაში როგორც კლასიკური მეღვინეობის ქვეყანაში, ბრძოლა უნდა გაჩაღდეს ჯიშის მიხედვით ოპტიმალური მოსავლის მიღებისა და, რაც მთავარია, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ვაზის გასხვლა უნდა წარმოებდეს მისი ასაკისა და სიძლიერის შესაბამისად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიტვირთოს ვაზი ზედმეტად მაღალი მოსავლის მიღების მიზნით.

ყურძნის ხარისხის დაცვის მეორე დიდ მოაკარი მიზეზია ძირეული სასუქებისა და განსაკუთრებით აზოტოვანი სასუქების ფაზოტოვანი გამოყენება. მოსავლიანგაზრდისათვის ჩვენს მევენახეებს გადაჭარბებული ღოზებით და ცალმხრივად შეაქვთ აზოტი. ამის შედეგად მართალია, იღებენ უხვ მოსავალს, მაგრამ მკვეთრად სცემენ პროდუქციის ხარისხს.

ყურძნის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ვენახების რწყვა. ზოგიერთი მევენახე მეტი მოსავლის მიღების მიზნით ერთელის წინ უხვად რწყავს ვენახს და ამით წინასწარ შეაქვს ღვინოში წყალი, რაც, ცხადია, იწვევს პროდუქციის მკვეთრად შელახვას.

უნდა აღინიშნოს ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი. ტენით ღარიბ რაიონებში ვენახის ორ-სამჯერ მორწყვა ყურძნის სიმწიფეში შესვლამდე საკალდებულო აგროღონისძიებად უნდა იქნას მიჩვეული, მაგრამ არ უნდა დავიკიწყოთ, რომ ვენახების უზომო რწყვა ბოროტებაა.

ორიოდე სიტყვა მწვანე ოპერაციებს ჩატარების სიზუსტეზე. ზედმეტი ყლორტების და ნამზრევების დროულად შეცლით, აგრეთვე ცის გახსნით ძლიერდება ვაზში მზის სხივების მოქმედება და მცირდება სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელება. მაგრამ უნდა აიკრძალოს ხაადრეული ან ნაგვიანევი ცის გახსნა, რასაც ადგილი აქვს მევენახეობის მთელ რიგ რაიონებში. ამ სამუშაოს ჩატარების საუკეთესო ვადად იელისის შუა რიცხვები უნდა ჩაითვალოს.

ასეთივე მნიშვნელობისაა ვენახის შპალერზე გადაყვანის საკითხი. ვაზის ყლორტების სივრცეში შპალერისებურად განლაგებით, გარდა სამუშაოების რაციონალურად ჩატარებისა, მზის სხივების გაძლიერებული მოქმედების შედეგად ყურძენი უკეთესად მწიფდება. ჩვენმა სამეურნეო-მოქმედო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ვენახების შპალერზე დაჩარებით გადასაყვანად და ამ მიზნით განსაკუთრებით მათულის უხრუნველსაყოფად.

ჩვენი თვითეული მევენახის საბრძოლო ამოცანა უნდა იყოს მტკიცედ დაიცვას ქართული ყურძნისა და ღვინის ღირსება. კარგი ყურძნის მაღალი მოსავალი, მაგრამ კიდევ უფრო კარგია, როცა საბრძოლოს მივცემთ მაღალხარისხოვან პროდუქციას. საქართველო ხომ ძვირფასი ღვინოების ქვეყანაა, ასეთ ღვინოს კი მხოლოდ კარგი ყურძენი იძლევა.

პროფესორი მ. რამიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

ალაზნის მარცხენა მხარეს, კავკასიონის ცალაზიდული მწვერვალები რომ გადმოგცქერიან, გაშენებულია ჩვენი კოლმეურნეობის ზვრები.

75 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე! ამ ვალდებულების განაღდება წელს ადგილი როდი იყო. უამინდობამ შეგვაფერხა, ვაზმა ნაკლებად მოისხა, მაგრამ ვიმარჯგეთ.

32 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე ოთხმოცი ცენტნერი საუკეთესო ხარისხის ყურძენი მოვიყვანეთ. სახელმწიფოს 253 ტონა მივყიდეთ.

ამას წინათ სასოხარულო ამბავი შევიტყეთ. 13 დეკემბერს მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გაიმართება. ბრიგადაში ვიმსჯელეთ, რა შრომითი საჩუქარი მივუძღვნათ პლენუმს და გადავწყვიტეთ 13 დეკემბრამდე დავამთავროთ ჩვენს ვენახებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები.

ვაზის რიგთა შორის ხვნა და ძირების გამობარვა უკვე მოვრჩინეთ, მინერალური სასუქები საკმარი დოზით შეკეტილნეთ. საყრდენ მასალას ვიმარაგებთ. საქმე ისე მიგვყავს, რომ შვიდწლედის მესამე წელს ჰექტარზე ასი ცენტნერი პირველხარისხოვანი ყურძნის მოყვანა ვუბატაკოთ სამშობლოს.

ა. ᲑᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲝᲕᲘ,
თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ

ᲬᲔᲚᲡ რესპუბლიკაში არახელსაყრელი ამინდების გამო ყურძნის დაბალი მოსავალი მივიღეთ. ეს მდგომარეობა ჩვენს მევენახეებს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. მათ ისე უნდა წარმართონ აქედანვე საქმე, ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ მომავალ წელს არა მარტო წარმატებით გაანაღდონ გეგმით გათვალისწინებული დავალებები, არამედ იძდენად გაზარდონ მოსავლიანობა, რომ ნაწილობრივ მაინც აანაზღაურონ მიმდინარე წლის ყურძნის დანაკლისი.

როგორ იბრძვიან ამჟამად ჩვენი მევენახეები ამ ამოცანათა გადასაწყვეტად, რა კეთდება მათს ზვრებსა და ვენახებში?

საქმის მცოდნე, გამოცდილი მევენახეები მომავალი წლის მოსავალს შემოდგომდანვე უყრიან საძირკველს. სწორედ ასე იქცევიან, სამტრესტის მევენახეებიც. რთვლის დამთავრებისთანავე ენერგიულად გაჩაღდა ვენახებში რიგთაშორისების ხვნა-დამუშავება, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, ვაზის ძირების გამობარვა, გამორგვა-გადაწვენა სიმეჩხრის სალკვიდაციოდ და სხვ. ამ სამუშაოების შესრულებაზე ხომ უშუალოდ არის დამოკიდებული ვაზის სიღონივრე, ამტანობა, ვეგეტაცია, გაზაფხულზე უხვი მსხმოიარობისათვის მზადყოფნა!..

ეს ღონისძიებები ადრე შემოდგომიდან მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ტარდება ხირსის, კარდანახის, ყვარლის, ზრომისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

ვენახების ფართობების სწრაფი ზრდა, მევენახეობის შემდგომი განვითარება სულ უფრო მეტად მოითხოვს მექანიზაციის გამოყენებას. შეუძლებელია ათასობით ჰექტარ ვენახს გაუძღვე, თუ არა გაქვს რიგთაშორისების ხახნავი გუთანი, კულტივატორი, სასუქების შესატანი მანქანები, შესასხურებელი, შესაფრქვევი აპარატები და სხვ. ასეთი მანქანა-იარაღები ჩვენს ვენახებში ძვირი სანახავია.

„ᲕᲒᲜ-1,8" მარკის გუთან-კულტივატორი საუკეთესო შედეგს გვაძლევს რიგთაშორისებში ნიადაგის დამუშავების დროს. ეს სასოფლო-სამეურნეო იარაღი მოიწონეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, დადგა მისი საჭირო რაოდენობით გამოშვების საკითხი.

ამ მიზნით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანას დაევალა მომდინარე წელს გამოეშვა 400 ცალი „ᲕᲒᲜ-1,8" მარკის გუთან-კულტივატორი. ფაქტიურად გამოუშვა მხოლოდ 250 ცალი. შემოდგომა-ზამთრის სამუშაოების დაწყებამდე მას კიდევ 200 ცალი გუთან-კულტივატორი უნდა მიეცა მევენახეებისათვის, მაგრამ ეს პირობა რატომღაც დღესაც განუხორციელებელია.

მევენახეები ჩქარობენ, ცდილობენ დროზე დაამთავრონ ზვრებში ნიადაგის საუკეთესოდ დამუშავება, გუთან-კულტივატორები კი არა ჩანს. საინტერესოა, როდისთვის ფიქრობს ქარხნის კოლექტივი ამ დაკვეთის შესრულებას?

მომავალ წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება წარმოადგენს. აგროწესებით ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ვენახში ჰექტარზე 50 ტონა ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი) უნდა იქნას შეტანილი, რაც არა მარტო აუცილებელი ნივთიერებებით ამდიდრებს ნიადაგს, არამედ სტრუქტურასაც აუმჯობესებს. მაგრამ განა კეთდება ეს? დაუფარავად უნდა ითქვას, რომ არც სამტრესტის საბჭოთა მეურნეობები, არც კოლმეურნეობები აგრონომიებით დადგენილ ამ ღონისძიებას მთლიანად არ ასრულებენ, და არა მარტო იმიტომ, რომ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მას, იმიტომაც, რომ გადამწყვეტი ნაკელი საჭირო რაოდენობით არ მოეპოვებათ ჩვენი მევენახეობის რაიონებს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვენახებში სასუქების შეტანის საქმეშიც ძოიკოქლებს მექანიზაცია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეგალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მექანიზაციის გამოყენებლებმ შექმნა ვენახებში მინერალური სასუქების შესატანი გაუმჯობესებული მანქანა. ჩვენი მევენახეები სიხარულით მიიღებენ ამ მანქანას. მაგრამ სად არის იგი? რატომ არ ინერგება წარმოებაში?

ახალი ვენახების გაშენებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფილოქსერაგამძლე ლერწის საკმაო რაოდენობით მიღებას. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით. თუ ჰექტარზე 110 სანტიმეტრი სიგრძის სტანდარტული ლერწის გამოსავლიანობა სულ მცირე 40-45 ათას ცალს უნდა უდრიდეს, ფაქტიურად მისი გამოსავლიანობა 15-25 ათას ცალს არ აღემატება. ეს იმის შედეგია, რომ სადედეები გადაყვანილი არ არის მაღალ-ჰორიზონტალურ შპალერზე, ხოლო აქ, სადაც ამ პროგრესულ მეთოდს იყენებენ, შედეგსაც კარგს აღწევენ.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს. წელს წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში უბნის აგრონომმა გ. ძამუნაშვილმა სადედის მაღალ-ჰორიზონტალურ შპალერზე გადაყვანით 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ათასი ცალისა, 55-60 ათასი ცალი სტანდარტული ლერწი მიიღო. ასეთივე კარგი შედეგები აქვთ ტიბაანის, ახმეტისა და სხვა მეურნეობებს. საჭიროა მათ სხვა მეურნეობებმაც მიბაძონ.

ახლა მევენახეები ძალღონის დაუზოგავად შრომობენ შვიდწლედით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ზ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სამტრესტის მფავარი მევენახე.

ᲥᲕᲔᲚᲐᲜᲐᲒᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲪᲧᲕᲐ

ᲮᲨᲘᲠᲘ წვიმა, ქარი, სიცივე, გვალვა ვაზს არ უყვარს, და სწორედ აქ იჩენს თავს მევენახეთა სიბეჯითე. კულტივაციით, მოხვნით, ოთხნით, რწყვით უნდა იყოს ეამინდობას, ვაზს უნდა შეუქმნა ასეთი პირობები, რომ გაალღდეს და უხვი, მაღალხარისხოვანი მოსავალი მოგვცეს.

ჩვენც ასე ვიქცევთ. გასვლასას თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად ვუდგებით, სუსტებს ნაკლებად ვტვირთავთ, ძლიერებს მეტი სანაყოფე კვირტებს ვუტოვებთ.

ასეთი შრომა ყოველთვის ფასდება და ჩვენც დაგვიფასდა: ჩვენ ნმა რგოლმა 7,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 78 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 55 ცენტნერს ითვალისწინებდა. ახლა ხარისხს ვინ იტყვით? იშვიათად, რომ ოომელიმე მტევანი დაზიანებული აღმოჩენილიყო. შაქრიანობა 22-24 პროცენტს აღწევდა. რგოლმა 248 ათას მანეთზე მეტი შემატა კოლმეურნეობის სალაროს.

ეს იყო შვიდწლედის მეორე წელს. მომავალში კი მიღწეულს არ დავჯერდებით. ყურძნის საშუალო მოსავლიანობას ას ცენტნერამდე ავიყვანთ ჰექტარზე.

ნათქვამი რომ ცარიელ სიტყვად არ დარჩეს, ვაზს აქედანვე „მოსვენებას" არ ვაძლევთ. როგორც კი ვენახიდან ყურძნით სავსე უკანასკნელი გოდორი გამოვიტანეთ, ვენახის დამუშავებას შევუდექით. მინერალური სასუქები შევიტანეთ, რიგთა შორის ხვნას და ვაზის ძირების გამობარვას მალე დავამთავრებთ. სამეჩხრეს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეთ. გადაწვენითა და გამორგვით ვენახებს ათასობით ძირი ვაზი შეემატება.

რგოლში ზარმაცი და უქნარა არავინა გვყავს. ციცინო ჯალიაშვილი, ბეჟან და სოლომონ სოლომნიშვილები და სხვები ენერგიის დაუზოგავად მუშაობენ. ყველა ერთად ვამუყაითობთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნამდე შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები დავამთავროთ.

ნინო ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

სურათზე: ვენახების მექანიზებული დამუშავება თელავის რაიონის რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში".



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია



ნიუ-იორკი. 7 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება: გუშინ, 6 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხის განხილვა.

სხდომაზე პირველი გამოვიდა ამერიკის დელეგატი უოლსტორტი.

ცდილობდა რა წარმოედგინა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების „მეგობრად“, უოლსტორტმა მოიყვანა ციტატები ამერიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან“. ამავე დროს იგი მოუწოდებდა არ გამოიჩინონ „ზედმეტი აჩქარება“ კოლონიური უღლის ლიკვიდაციაში. თუ ხალხი 24 საათში მიიღებს დამოუკიდებლობას, დაიწყება ქაოსი, ლაყბობდა ამერიკელი დელეგატი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დუმალით აუარა გვერდი კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის სპეციალურ პროექტს. შეეხო რა აფრიკა-აზიის 42 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, უოლსტორტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას „სურს მხარი დაუჭიროს ამ რეზოლუციის პროექტს“. ამერიკის დელეგატმა ერთი სიტყვაც არ თქვა იმის შესახებ, თუ დეკლარაციის პროექტის რომელი დებულებანი არ მოსწონს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, და გამოთქვა სურვილი, რომ დეკლარაციის პროექტში შეტანილ იქნას ცვლილებები.

იტალიის წარმომადგენელმა გაეტანო მარტინომ მხარი დაუჭირა „სუსტად განვითარებული ხალხების თვითმმართველობის განსაკუთრებულ ფორმებს ასოციაციაში მათ ყოფილ პარტნიორებთან“, და საკმაოდ გარკვევით გამოთქვა იმპერიალისტური წრეების გეგმები, რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ თავიანთი კოლონიური ბატონობა ჩაგრული ხალხებისათვის დამოუკიდებლობის ფორმალური მინიჭების საფარით.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როამ, რომელსაც ბევრი დელეგაცია და ქანცარაზე შეკრებილი მაყურებლები ტაშით შეხვდნენ. იმპერიალისტები, თქვა მან, ცდილობენ თავისუფლებისათვის მებრძოლთა სამოსელში გამოეწყონ. მაგრამ ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. ჩვენ უკვე მოვისმინეთ აქ ამ ცოტა ხნის წინათ გათავისუფლებული ხალხების წარმომადგენელთა გამოსვლები, ხალხებისა, რომელთა სხეულს ატყვია კოლონიური ჩაგვრის წლებში წამების კვალი. იმპერიალისტური სახელმწიფოები, განაგრძო რომ, ცდილობენ შექმნან კოლონიალიზმის ახალი ფორმები, რომელთა მთავარი მაუწყებელია ამერიკის შეერთებული შტატები. ისტორიული მაგალითები კუბის დელეგატმა ცხადყო, თუ როგორ ვითარდებოდა შეერთებული შტატების იმპერიალისტური ექსპანსია დასავლეთის ნახევარსფეროს უფრო სუსტი ქვეყნების წინააღმდეგ. დღემდე ამერიკის შეერთებულ შტატებს ოკუპირებული აქვთ პუერტო-რიკო, პანამის არხის ზონა, უკანონოდ ინარჩუნებენ კუბაში გუანტანამოს ბაზას, კოლონიურ დამოკიდებულებაში ჰყავთ სუონის კუნძული კარიბის ზღვაში.

კუბის დელეგატის სიტყვის ამ ადგილს სხდომის წარმოება წესით სიტყვა ითხოვა ჰონდურასის წარმომადგენელმა. ჩემმა დელეგაციამ პროტესტი უნდა განაცხადოს, თქვა მან. სუონის კუნძული ამერიკის შეერთებული შტატების კოლონია არ არის. ჰონდურასის კუთვნილი ეს ტერიტორია უკანონოდ დაიპყრეს შეერთებულმა შტატებმა. ჰონდურასის დელეგატის განცხადებამ მხიარული გამოცოცხლება გამოიწვია დარბაზში.

კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაგრძო თავისი სიტყვა და შეეხო იმპერიალისტთა დანაშაულს კონგოში. მან გადაჭრით დაგმო მობუტუს ბანდის მიერ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას უკანონო დაპატიმრება. კუბის მთავრობამ, თქვა მან, დამავალა მოვთხოვო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადამწყვეტი ღონისძიებანი, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის.

როამ განაცხადა, რომ კუბის დელეგაცია უმეხშეზოდ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის დეკლარაციის პროექტს კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ლიბანის დელეგატმა ფუად ამუნმა გააკრიტიკა რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინება სამხრეთ აფრიკაში. ურუგვაის წარმომადგენელი კარლოს მარიო ველასკ�sკენი მოეწოდება „ზომიერებისაკენ“ მოთხოვნებში, რომ თავისუფლება მიეცეთ დამოკიდებულ ხალხებს.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაშიმ ჯავადმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს, რომელიც კოლონიალიზმის ლიკვიდაციის გამო ამ კამათის ინიციატორია. დადებითი აზრი გამოთქვა რა დეკლარაციის სამუშაო პროექტის შესახებ, ჯავადმა კომენტარი გაუკეთა აფრიკა-აზიის ქვეყნების რეზოლუციის პროექტის ზოგიერთ დებულებას, რომლის თანაავტორია მისი დელეგაცია. ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოგაგონა დელეგაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ დადგა დრო საბოლოოდ მოისპოს მანკიერი კოლონიური სისტემა.

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ოზეროვი იუწყება: განხილვა დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დასასრულს უახლოვდება. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს უკვე 66 ქვეყნის წარმომადგენლებმა. გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან მთელ მსოფლიოში გაისმა აზიის, აფრიკის, ევროპისა და დასავლეთის ნახევარსფეროს მრავალი ქვეყნის დელეგატთა ხმა, რომლებმაც მრისხანედ დაგმეს კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა.

მაგრამ განხილვის მსვლელობაში ყალბი ხმებიც გაისმოდა. უბადრუკი შთაბეჭდილება მოახდინა ბელგიის დელეგატის სიტყვამ, რომელიც პირველი გამოვიდა გენერალური ასამბლეის 6 დეკემბრის საღამოს სხდომაზე. მას მოუხდა ნახევრად ცარიელი დარბაზისათვის მიემართა. ამ გამოსვლის დროს დარბაზში მთლიანად არ იყო 40-ზე მეტი დელეგაცია, ხოლო დანარჩენები წარმოდგენილი იყვნენ თითო-ოროლა დელეგატით. ცარიელი იყო აგრეთვე ქანდაკა პრესისათვის.

ბელგიის წარმომადგენლის მთელი სიტყვა მიეძღვნა კონგოში კოლონიზატორთა „დამსახურების“ აღწერას. აშკარა მიზნით, რომ ჩამოეშორებინა ასამბლეის ყურადღება დიდმნიშვნელოვანი საკითხისათვის, მან გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციათა უხეში ხერხი და მიმართა ცილისმწამებლურ გამოხდომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ მან იქვე მიიღო საკადრისი პასუხი სსრ კავშირის წარმომადგენლის ა. როშჩინისაგან, რომელმაც, აიღო რა სიტყვა სხდომის წარმოების წესით, ამხილა ცილისწამება და მოსთხოვა თავმჯდომარეს ორატორს.

შემდეგ გამოვიდა კონგოს (დედაქალაქი ბრაზავილი) დელეგატი.

მან კოლონიურ სისტემას უწოდა XX საუკუნის სამარცხვინო მოვლენა და მადლობა გადაუხადა იმათ, ვინც დაგმო კოლონიალიზმი.

კოლონიალიზმისაგან ხალხთა განთავისუფლება, განაცხადა კონგოს დელეგატმა, უნდა წარმოებდეს ისე, რომ არ იყოს მოტყუება და ფარისევლობა. ჩვენ აფრიკაში ეს კიდევ დაგვიჯდება სისხლად. მან თავისი გამოსვლა დამთავრა მოწოდებით: „ძირს კოლონიალიზმი, ძირს იმპერიალიზმი და კაპიტალისტები, რომლებიც ძარცვავდნენ ჩვენს ქვეყანას“.

გაბონის წარმომადგენელმა მკაცრად გააკრიტიკა ბელგიის ხელისუფალთა საქმიანობა, რომლის მიზანია კოლონიალიზმის აღორძინება კონგოს რესპუბლიკაში.

ტაილანდის დელეგატმა მხარი დაუჭირა 43 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

პანამის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ საღამოს სხდომა დაიხურა.

ბრაზილია. რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა დემონსტრაცია კუბის რევოლუციის მხარდასაჭერად.

სურათზე: დემონსტრაციაზე. მარჯვნივ პლაკატზე წარწერაა: „კუბა — ჰო! იანკი — არა!“.

ფოტო სინხუას სააგენტოსი.

ახალი ინტრიგები კუბის წინააღმდეგ

ჰავანა, 7 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „რევოლუსიონი“ ვაშინგტონიდან მიღებულ კორესპონდენციაში იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიმუშავა კუბის რევოლუციის წინააღმდეგ შეტევის ახალი გეგმა და ახლა ზეგავლენას ახდენს ლათინური ამერიკის ზოგიერთ მთავრობაზე, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ამ გეგმის განხორციელებაში. გეგმის მთავარი პუნქტები, აღნიშნავს გაზეთი, შემდეგია: კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა კოლექტიურად; ეკონომიური ემბარგო; სამერიკათშორისო საპოლიციო ძალების შექმნა; სპეციალური „კომიტეტის“ შექმნა ლათინური ამერიკის ქვეყნებში პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლისათვის.

ერთ-ერთი მთავრობა, რომელიც მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ გეგმის განხორციელებაში, განაგრძობს გაზეთი, არის ვენესუელის ბეტანკურის მთავრობა.

„ლათინური ამერიკის ზოგიერთმა მთავრობამ, რომელთა შორის ნიადაგ მოსთხოვენ ამერიკის ახალი გეგმის შესახებ, სურვილი გამოთქვა, — აღნიშნავს გაზეთი, — რომ ეს გეგმა მომდინარეობდეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობისაგან, რომელიც თავის საქმიანობას შეუდგება მომავალ თვეში.

ჰავანა, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ ბრაზილიიდან იუწყება, სხვადასხვა პარტიის 63 დეპუტატმა და ქალაქ ბრაზილიის გუბერნატორმა ხელი მოაწერეს განცხადებას, რომელშიც ისინი გმობენ აგრესიის საფრთხეს კუბის მიმართ.

„ბრაზილიელი დეპუტატები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ განცხადებას, — ნათქვამია დოკუმენტში, — შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის სერიოზულ უთანხმოებათა გამო აცხადებენ მტკიცე და კატეგორიულ პროტესტს ყოველგვარი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც დაარღვევს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, იმ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, რომლებიც თავისუფლად უნდა გადაჭრან თვით სუვერენულმა სახელმწიფოებმა“.

განცხადების ტექსტი დეპუტატთა პალატაში წაიკითხა დეპუტატმა სოციალისტური პარტიისაგან ბარბოზა ლიმა სობრინიომ.

რიო-გრანდე-დო-სუდის შტატის საკანონმდებლო ასამბლეამ აგრეთვე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გმობს უცხოეთის ყოველგვარ ჩარევას კუბის საშინაო საქმეებში და ხაზს უსვამს კუბის რევოლუციის უფლებას ჭეროვანი პასუხი გასცეს ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ მოქმედებას.

ᲒᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲚᲐᲥᲘᲐᲡ

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ბელგიის მთავრობამ კატანგის პროვინციის „მმართველი“ ჩომბე დაჯილდოვა გვირგვინის ორდენით, იუწყება ბრიუსელიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი. კონგოელი ხალხის ამ მოღალატის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება, კორესპონდენტის სიტყვით, მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ჩომბე მიიღო ბელგიის მეფემ ბოდუენმა, რომელსაც მან მიართვა მალაქიტის დიდი ნატეხი. ეს ძღვენი, როგორც ჩანს, იმის სიმბოლოა, რომ ჩომბე ლაქიურად მზად არის კატანგის მთელი სიმდიდრე თავის ბელგიელ მფარველებს გადასცეს. რა თქმა უნდა, კოლონიზატორები შეუმჩნეველად ვერ დატოვებდნენ მარიონეტ ჩომბეს „გმირობას“ და მას მისცეს ორდენი, რომლითაც ბელგია, როგორც კორესპონდენტი მოწმობს, „გმირობის“ ჩამდენს აჯილდოებს...

ერთგულ მონა ჩომბეს შესაძლებლობა აქვს დაიმსახუროს კიდევ უფრო მაღალი ჯილდო, რადგან გვირგვინის ორდენი ბელგიაში მნიშვნელობით მეორეა ლეოპოლდის ორდენის შემდეგ. ლეოპოლდის ორდენი უკვე უმშვენებს მკერდს კოლონიზატორთა მეორე აგენტს — კასავუბუს.

ᲐᲮᲐᲠᲔᲚ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲨᲘ

დამასკო, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დამასკოში დაიწყო აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტები. ანსამბლის პირველი კონცერტი გაიმართა დამასკოს ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრ „ალჰამრაში“, რომლის ხალხით გაჭედილ დარბაზში იყვნენ არაბთა გვიდინანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, დამასკოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონცერტის დაწყების წინ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრებს მიესალმა ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი ნაჯად ჰასანი. ხელოვნება, რომელიც ასახავს ხალხის სულს, თქვა მან, ემსახურება ხალხების დაახლოებას და მათი მეგობრობის განმტკიცებას. დღეს ჩვენ სიხარულით მივესალმებით დამასკოში აჭარის ხალხურ ანსამბლს, რომელიც ჩამოვიდა ჩვენთან მეგობრობისა და ძმობის წარმომადგენლად. იმედი მაქვს, თქვა დასასრულ ჰასანმა, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი მსახიობებიც წავალენ საბჭოთა კავშირში და გადასცემენ საბჭოთა ხალხს არაბი ხალხის მეგობრობისა და ძმობის სიტყვებს.

აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჩხიკვაშვილი, დიდი წარმატება ჰქონდა. აჭარელ მსახიობთა გამოსვლებმა არაერთგზის გამოიწვიეს მაყურებლთა მხურვალე ტაში. გულთბილად შეხვდნენ მაყურებლები საქართველოს დამსახურებულ არტისტს ფატმა კობალაძეს, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატს სოსო ჭანტურიშვილს, მომღერლებს ილია კალანდაძეს, ილია ზაქაიძეს, ლეილა ვერულაშვილს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მსახიობებს ყვავილების თაიგულები მიართვეს კულტურის სამინისტროს, სირიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოებას, სირიის რაიონის კულტურის მოღვაწეებმა.

დამასკოში გამოსვლების შემდეგ ანსამბლი წავა ალეპოში, სადაც გამართავს სამ კონცერტს.

რედაქტორის მოადგილე

გ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ.

9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა (მე-20 აბონ. 1-ლი წარმ.), **რუსთველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — დამოკლეს მახვილი, **გრიბოედოვის სახელობის** — მედოლე ქალი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ეცნაური სტუმრები (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — სახელგატეხილნი (აბონ. № 2), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—სახიფათო მიჯნასთან (აბონ. № 27, 4 ს.), **თოჯინების ქართული** — ქაჯანა (11 ს.), ზარმაცი კიკო (2 ს.), **ფილარმონიის საზამთრო** — თვითმოქმედი საესტრადო ორკესტრის დათვალიერება,

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ: 19.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ზღაპრები სკვერი“ და „ცეროდნას ეკრანი“, 19.25 — გადაცემა „დეკემბრის პლენუმის შესახვედრად“, 19.35 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.15— კონცერტი, 20.45 — ახალი ამბები, 20.55 — ფილმი-ბალეტი — „ლეილა და მეჯნუნი“.

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ

ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲘ, 8 დეკემბერი (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, იუგოსლავიის მეღმივმა წარმომადგენელმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დ. ვიდრიმა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს გადასცა იუგოსლავიის მთავრობის მემორანდუმი კონგოს ამბების განვითარების შესახებ.

იუგოსლავიის მთავრობა აცხადებს, რომ იუგოსლავიას, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრს, არ სურს რაიმე სახით აგოს პასუხი ან გაიზიაროს პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც ამჟამად კონგოში ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო ძალებისა და მისი სხვა ორგანოების იქ ყოფნის დროს. იუგოსლავიის მთავრობამ ამიტომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამოიწვიოს თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელიც ლეოპოლდვილში იმყოფება. მან აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება გამოიწვიოს თავისი პილოტები და მთელი დანარჩენი პერსონალი, რომელიც კონგოშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნით.

იუგოსლავიის მთავრობას მიაჩნია, რომ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟისა და ავტორიტეტს უკარესად ძლიერი ლაბვარი ჩასცეს და რომ იმ უკანონო მოქმედების განგრძობას, რაც კონგოში ხდება, შეიძლება კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს მშვიდობის საქმისათვის.

მემორანდუმში ნათქვამია, რომ იუგოსლავიის მთავრობას კვლავ მიაჩნია, რომ კონგოს კრიზისი ვერასგზით ვერ გადაიჭრება, თუ არ დაეყრდნობიან ამ ქვეყნის ნამდვილად ეროვნულ ძალებს, დაუყოვნებლივ და სავსებით არ გაასაღლებენ კონგოდან ყველა ბელგიელს, რომელთაც პასუხსაგები პოსტები უკავიათ სხვადასხვა სამხედრო რაზმში, კონგოს ადმინისტრაციაში, ეკონომიურ და სხვა ორგანოებში.

იუგოსლავიის მთავრობა მოითხოვს, რომ კონგოში არსებული მდგომარეობის ყოველგვარი შემდგომი ნორმალიზაციისათვის პირველ და უაღრესად საჭირო ამოცანად და წინამძღვარად განხორციელდეს დაუყოვნებლივი და ენერგიული ღონისძიებანი, რათა გაათავისუფლონ პრემიერ-მინისტრი ლუმუმბა და მთავრობის სხვა დაპატიმრებული წევრები, პარლამენტის წევრები და საზოგადო. და პოლიტიკური მოღვაწეები.

იუგოსლავიის მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ შესრულდეს უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი კონგოს შესახებ, რათა სავსებით აღმოიფხვრას უცხოელთა ინტერვენცია, „დაუყოვნებლივ დამყარდეს წესრიგი და კანონიერება და შენარჩუნებულ იქნეს კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის წინადადებით კონგოში არსებული მდგომარეობის განსახილველად.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

△ **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 7 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს პოსტზე არჩეულმა ჯონ ფ. კენედიმ დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა მინისტრად ნიშნავს წარმომადგენელთა პალატის წევრს სტიუარტ იუდოლს (არიზონის შტატი).

△ **ᲝᲢᲐᲕᲘᲐ,** 7 დეკემბერი. (საკდესი). იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატამ კვლავ აირჩია იყედა იაპონიის პრემიერ-მინისტრად.

მან მიიღო 290 ხმა. სოციალისტური კავშირის — ედას კანდიდატმა მიიღო 141 ხმა, ხოლო გამთმაველი პარტიის „დემოკრატიული სოციალიზმის“ თავმჯდომარემ — 16 ხმა. ამის წინ აგრეთვე მმართველი პარტიის დეპუტატთა ხმებით ხელახლა აირჩიეს ქვედა პალატის თავმჯდომარედ კიესი, რომელსაც ეგრეთვე პოსტი ეკავა წინანდელი შემადგენლობის ქვედა პალატაში.

△ **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ვაშინგტონში გამოაცხადეს, რომ შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, „უკან გაიწიონ ამერიკის სამხედრო ხომალდები და თვითმფრინავები, რომლებიც კუბის სანაპიროების უშუალო სიახლოვეს იმყოფებიდნენ ყარიბის ზღვაში,

„ᲕᲝᲚᲒᲐ“ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ

საქართველოს ქალაქებისა და სოფლების შემნახველი სალაროები შეუდგნენ საქართველოს სსრ ფულის და ნვთების 1960 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის მოგებათა მასობრივად გაცემას.

ყველა შემნახველ სალაროში დიდი გამოცოცხლებაა. ათასობით მოქალაქეს მოაქვს ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხდა.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ახლგაზრდა მუშა გივი ნოზაძე ლატარიის 53258 სერიის № 35 ბილეთზე იღებს 5.000 მანეთ ფულად მოგებას. ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში გაფორმებულია ლატარიის ბილეთი 2.000 მანეთად ღირებული მოგების — მაცივარ „დნეპრის“ გასაცემად.

სოციალისტური უზრუნველყოფის სამინისტროს მეშაქმა ვლადიმერ ჭეიდეძემ წარადგინა ლატარიის ორი ბილეთი, რომელთაგან ერთს ხვდა სამზარეულოს ელექტრომოწყობილობის კომპლექტი, რომელიც 950 მანეთი ღირს, მეორეს — 100 მანეთი ფულადი მოგება. როგორც ჭეიდეძემ განაცხადა, მან ამ ცოტა ხნის წინათ ლატარიის მხოლოდ 5 ბილეთი შეიძინა.

ყველაზე ბედნიერი მოგება — ავტომანქანა „ვოლგა“ ხვდა თბილისელს — ორჯონიკიძის რაიონის მცხოვრებს ივანე ჩიქოვანს. მისი ბილეთი მიღებულია გასაფორმებლად და ამ დღეებში მას მიეცემა „ვოლგა“.

ჯერ კიდევ არ გამორკვეულან „ბედნიერები“, ვისაც მოგებად ხვდა საწოლი ოთახის გარნიტურები, პიანინოები და სხვა ძვირფასი მოგებანი.

მოგებათა გაცემა ყველგან გრძელდება.

Ა. ᲨᲢᲔᲘᲜᲑᲔᲠᲒᲘ.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

10 და 11 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ წვიმა, აღმოსავლეთის სუსტი, რიონის ხეობაში ზომიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 13-18 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ალაგ-ალაგ ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მობუტუ ჩავიდა ბრაზავილს, რათა შეხვედროდა თავის ოფიცერთა ჯგუფს, რომელმაც ერთ თვეს იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში იმისათვის, რომ „განმმტკიცებინა კონტაქტები“ პენტაგონთან, ბელგიის თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს სხვა ქვეყნების არმიებთან.

მობუტუს ეს ეგრეთწოდებული „სამხედრო მისია“, კერძოდ, ეწვია შეერთებულ შტატებს, კანადას, დიდ ბრიტანეთს, ბელგიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 დეკემბერი (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, დღეს იქ ელიზაბეტვილიდან ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის ძმა ედვარდ კენედი, რომელსაც ახლავს სამი ამერიკელი სენატორი.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, კენედისა და კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დაიალის ორსაათიანი საუბრის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის მახლობლად პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას მომხრეებსა და კასავუბუს აგენტებს შორის მოხდა მორიგი შეტაკება.

ᲒᲘᲚᲘᲝᲜᲝᲒᲘᲗ ფრანგი მოითხოვს შეწყდეს კოლონიალისტური ომი ალჟირში, გაიმართოს სამშვიდობო მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან. მაგრამ, მიუხედავად მოსახლეობის უმრავლესობის მსწრაფვებისა, საფრანგეთის მმართველ წრეებს არა სურთ დაადგენენ მოლაპარაკების გზას — ერთადერთ გზას, რომელსაც მშვიდობა მოჰყვება. ნაცვლად ამისა საფრანგეთის მთავრობამ ამ დღეებში მიიღო გადაწყვეტილება მოეწყოს რეფერენდუმი ალჟირის საკითხზე. დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ეს ნაბიჯი, რომელიც განუსაზღვრელ დროით აჭიანურებს ალჟირის პრობლემის გადაწყვეტას, მიიჩნია მორიგ მანევრად, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ შეცდომაში შეიყვანონ ფრანგი ხალხი.

ამ ნახატზე, რომელიც ამოღებულია გაზეთ „ლუმანიტედან“, მარიანა (ასე უწოდებენ ფრანგები თავიანთ რესპუბლიკას) რეფერენდუმისათვის განკუთვნილ ურნასთან ამბობს: „ეი ბიულეტენი, რომელიც მე ავირჩიე, — „მოლაპარაკება!“

— Moi, voila le bulletin que je choisis !...

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

რიგა. 8 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს გაიმართა სსრ კავშირის ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ამ პარტიების შედეგებს ჩემპიონატის მონაწილეთათვის, კერძოდ ლიდერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ყოველ გადადებულ პარტიაში ბრძოლას შეუთავრდ ხასიათი ჰქონდა.

საერთაშორისო ოსტატს ვ. ტიხომიროვას მ. ტოგონიძესთან გადადებულ პარტიაში უკეთესი პოზიცია ჰქონდა. მან ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და პრეველობის გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მეორე პარტია ვ. ტიხომიროვას გადადებული ჰქონდა ტ. ზატულოვსკაიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ტ. ზატულოვსკაიასთან მეტოქეს უპირესი პოზიცია ჰქონდა, მან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ყაიმს მიაღწია.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. რუბინოვამ, რომელმაც ამ ჩემპიონატში კარგად გამოიჩინა თავი, ვერ გაუძლო ბრძოლას სიმფეროპოლელ ჩემპიონატის ფინიშთან და ორი პარტია წააგო ტ. ფილანოვსკაიასთან და ვ. კაკაბაძესთან.

საერთაშორისო ოსტატის ო. იგნატიევასა და ვ. კაუშილაიტეს პარტია კვლავ გადაიდო ვ. კაუშილაიტესათვის უკეთეს პოზიციაში, რომელსაც 2 ზეუმეტი პაიკი აქვს. ო. იგნატიევა-ტ. ფილონოვსკაიას პარტია არ გათამაშებულა. ო. იგნატიევასა და ა. ჩაიკოვსკაიას გამტოვებული პარტია გათამაშდება ხვალ.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ვოლპერტმა წარმატებით ჩაატარა პარტიის დაბოლოება ვ. კოზლოვსკაიას წინააღმდეგ და გამარჯვებას მიაღწია.

15 ტურის შემდეგ ტ. ზატულოვსკაიას აქვს 11 ქულა, ნ. გაფრინდაშვილსა და ლ. ვოლპერტს — ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა, ვ. ბორისენკოს — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ხვალ ჩ